ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბაჩუკ ბოკუჩავა

საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში საქონლის ექსპორტის სტატისტიკური ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა: ეკონომიკა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მაია გიორგობიანი
ასისტენტ პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

თემის აქტუალობა - საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულია მსოფლიოს ყველა ქვეყანა, რადგან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს თავისი მოთხოვნა. გამომდინარე აქედან, საგარეო ვაჭრობა უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე, შესაბამისად საგარეო ეკონომიკური კავშირების რაოდენობრივი შესწავლა, მათი სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება ქვეყნის საგარეო ეკონომიკური და სავალუტო-საფინანსო პოლიტიკის შემუშავების აუცილებელი ინსტრუმენტია. სწორედ ამიტომ, აღნიშნული სფეროს ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა მეტად აქტუალური პრობლემაა და ნებისმიერი ქვეყნის ინტერესის საგანს წარმოადგენს.

კვლევის მიზნები და ამოცანები - ნაშრომის „საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში საქონლის ექსპორტის სტატისტიკური ანალიზი“-ს ძირითადი მიზანია საქონლის ექსპორტის სტატისტიკური ანალიზი და მისი გავლენის შეფასება ქვეყნის ეკონომიკურ გარემოზე.

ნაშრომის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: საქონლით საგარეო ვაჭრობის მეთოდოლოგიური ნაწილის განხილვა, მისი ფორმირების პროცესში გამოყენებული ძირითადი კლასიფიკაციების დახასიათება, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის სტრუქტურის შესწავლა, ევროკავშირის ქვეყნებში საქონლის ექსპორტის სტატისტიკური ანალიზი გეოგრაფიულ და სასაქონლო ჭრილში.

კვლევის საგანი და ობიექტი - ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს საქონლით სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირთან და ექსპორტის მოცულობის დინამიკა.

კვლევის საგანი კი არის საქონლის ექსპორტის ზოგადი ტენდენციები, ასევე ცალკეული ქვეყნებისა და მათი გაერთიანებების, სასაქონლო პოზიციების, ფართო ეკონომიკური კატეგორიების, მოვაჭრე სუბიექტების ზომებისა და მათი საქმიანობის სახეების მიხედვით.

ნაშრომის თეორიულ–მეთოდოლოგიური საფუძვლები - სამაგისტრო ნაშრომი დაფუძნებულია ქართველი და უცხოელი მკვლევარების მიერ ჩატარებულ თეორიულ და პრაქტიკულ გამოკვლევებსა და დასკვნებზე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შექმნილ მეთოდოლოგიებზე. იგი ასევე ეფუძნება საკანონმდებლო ბაზისა და ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებს.

ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა ორგანიზაციების ოფიციალური მონაცემები და სპეციალური სტატისტიკური კვლევების შედეგები.

Bachuk Bokuchava

Statistical analysis of the export of goods from Georgia to the EU

Annotation

The Relevance of the Research Topic - All countries in the modern world are involved in international trade relations, because they can't be self-sufficient and provide themselves only with their own production. So external trade has a huge impact on international policies. Quantitative study of external economic activities between countries, their statistical analysis and forecasting is an essential instrument for the country's external economic and monetary-financial policy. That's why economic and statistical research of the international trade relationships is very important issue and subject of analysis of all countries.

Goals and Tasks of the Study - the main aim of the study "Statistical analysis of export of goods from Georgia to the EU countries" is statistical analysis of export of goods and its main influence on the economic environment of the country.

The main tasks of the work are the theoretical and methodological discussion of foreign trade, characterization of the main classifications used in the process of formation, study of trade between Georgia and the European Union, statistical analysis of export of goods to EU countries in geographical and commodity contexts.

The Subject and Object of the Research - The object of the research is the Georgian trade relations with the European Union and the dynamics of export volume.

The subject of research is the trend of export of goods according to the types of activities of individual countries and their associations, main commodity positions, organizations, broad economic categories and economic activities.

Theoretical-Methodological Basis of the Research - Master's thesis is based on the theoretical and practical examinations and findings conducted by Georgian and foreign researchers,

methodologies produced by international organizations, the legislative basis and assessment of local and international organizations in the economic situation in the country.

The paper uses official data of the National Statistics Office of Georgia, World Bank, International Monetary Fund and other international organizations and special statistical studies.

სარჩევი

შესავალი 7

თავი 1. საგარეო ვაჭრობის როლი ეკონომიკაში 9

1.1. ევროკავშირის შიდა ბაზარი 9

1.2. თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან (DCFTA) 17

1.3. სტატისტიკის მნიშვნელოვნება ასოცირების შეთანხმებაში 24

თავი 2. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება, მაჩვენებელთა სისტემა და მათი გაანგარიშების მეთოდოლოგია 29

2.1. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგია, აღრიცხვის მეთოდები და მაჩვენებელთა სისტემა 29

2.2. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში გამოყენებული ძირითადი კლასიფიკაციები და დაჯგუფებები 39

2.3. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება საქართველოში 48

თავი 3. ევროკავშირში განხორციელებული საქონლის ექსპორტის ძირითადი ტენდენციების სტატისტიკური ანალიზი 50

3.1. საქართველოს ექსპორტის ძირითადი ტენდენციები და სტრუქტურა 50

3.2. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის სტატისტიკური ანალიზი 69

დასკვნა 89

გამოყენებული ლიტერატურა 92

შესავალი

გლობალიზაციისა და მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციის მზარდი პროცესები სულ უფრო მეტად ურთიერთდამოკიდებულს ხდიან სხვადასხვა ქვეყანათა ეკონომიკებს. გამომდინარე აქედან იზრდება ინტერესი საერთაშორისო ვაჭრობის და მისი განვითარების მიმართ. საერთაშორისო ვაჭრობა, თავისთავად, სახელმწიფოებრივი მოვლენაა, რომელიც მოიცავს ქვეყნებს შორის თავისუფალ ვაჭრობას და საქონლისა და მომსახურების დაუბრკოლებლად მიმოცვლას. ვაჭრობას საერთაშორისო ურთიერთობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ის ქვეყნებს შორის ამა თუ იმ ტიპის ურთიერთობების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. ქვეყნები საუკუნეების განმავლობაში იყვნენ დაკავებულნი ერთმანეთთან საქონლის გაცვლა-გამოცვლით, თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის განსხვავდებოდა ვაჭრობის ტიპები ერთმანეთისგან. განსხვავდებოდა სავალუტო რეჟიმი, გაცვლითი კურსი, ტარიფები, ბარიერები და ა.შ. რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოები თავიანთ საგარეო სავაჭრო კურსს ხშირად ერთმანეთთან შეუთანხმებლად ცვლიდნენ - ზრდიდნენ ტარიფებს, აწესებდნენ საქონლის იმპორტზე კვოტებს და ა.შ. ასეთი მოქმედებები მსოფლიო ეკონომიკისთვის ხშირად დიდი დარტყმა იყო. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ისტორიაში, განსხვავდებოდა საგარეო კურსის დადგენის წესებიც. მეორე მსოფლიო ომს საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია მოყვა. სხვადასხვა ეკონომიკური თეორიითა და კვლევებით დადასტურდა ქვეყნებისთვის თავისუფალი ვაჭრობის განხორციელებისა და საერთაშორისო გაცვლით პროცესებში აქტიურად ჩაბმის უპირატესობა.

საგარეო ვაჭრობის შესახებ დროული და ხარისხიანი სტატისტიკური მონაცემების არსებობა აუცილებელი პირობაა წარმოების, მოხმარების, დასაქმების, შემოსავლებისა და ზოგადად კეთილდღეობის მრავალმხრივი ანალიზისათვის როგორც ქვეყნის, ისე გლობალურ დონეზე. თანამედროვე სამყაროში თითქმის ყველა ქვეყანა ჩართულია საერთაშორისო ვაჭრობაში, აქტიურად მიმდინარეობს ქვეყნებს შორის საქონლის, მომსახურების, საწარმოო ფაქტორების ურთიერთგაცვლა და იმ საქონელსა და მომსახურებაზე სპეციალიზაცია, რომლის წარმოებაშიც ამა თუ იმ ქვეყანას უპირატესობა

გააჩნია. თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკურ-სტატისტიკური კუთხით ამ პროცესების გაანალიზება და რეალური ტენდენციების გამოვლენა.

საგარეო ვაჭრობის თეორიული და პრაქტიკული საკითხებისადმი ინტერესის ამაღლება განპირობებულია როგორც გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესით, ასევე, ხელისუფლების მიერ მრავალს ქვეყანასთან სამთავრობო ორმხრივი შეთანხმებებით, რომელიც საწყის ეტაპზე სწორედ სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლით და სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავების ინიციატივით იწყება.

ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო ეკონომიკური კავშირების რაოდენობრივი შესწავლა, მათი სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება ქვეყნის საგარეო ეკონომიკური და სავალუტო-საფინანსო პოლიტიკის შემუშავების აუცილებელი ინსტრუმენტია. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სფეროს ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა მეტად აქტუალური პრობლემაა და ნებისმიერი ქვეყნის ინტერესის საგანს შეადგენს.

ასევე მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობისა და საგადასახდელო ბალანსს შორის ურთიერთდამოკიდებულება. საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშების ერთ-ერთ ძირითად პუნქტს სწორედ საქონლით ვაჭრობა იკავებს. მიმდინარე ანგარიშების დეფიციტის მიზეზიც სწორედ საგარეო ვაჭრობის უარყოფით სალდოა (ქვეყნის იმპორტის გადაჭარბება ექსპორტზე). შესაბამისად ძალიან მნიშვნელოვანი აღნიშნული სფეროს კვლევა, რათა სახელმწიფომ გაატაროს სწორი და ეფექტიანი სავაჭრო-საგარეო პოლიტიკა.

თავი 1. საგარეო ვაჭრობის როლი ეკონომიკაში

1.1. ევროკავშირის შიდა ბაზარი

ევროპული ინტეგრაციის იდეა პირველად დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, უინსტონ ჩერჩილმა წამოაყენა, რომელმაც 1946 წლის 19 სექტემბერს ციურიხში (შვეიცარია) სიტყვით გამოსვლისას[1], ევროპის შეერთებული შტატების შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრა, თუმცა, აღნიშნულ იდეას მაშინ განვითარება არ მოჰყვა. ევროპული ინტეგრაციის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1950 წელი, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა, გაახმოვანა ფრანგი პოლიტიკოსის, ჟან მონეს ინიციატივა - გაერთიანებულიყო დასავლეთ ევროპის ნახშირის და ფოლადის საბადოები.

შედეგად, 1951 წელს შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (European Coal and Steel Community), რომელშიც შევიდა ექვსი სახელმწიფო - ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდები. გადაწყდა, რომ შექმნილიყო დამოუკიდებელი ზეეროვნული ორგანო, ე.წ. ,,უმაღლესი ხელისუფლება" (High Authority), რომელიც განაგებდა ამ ქვეყნებში ნახშირისა და ფოლადის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. უმაღლესი ხელისუფლების პირველ პრეზიდენტად დაინიშნა ჟან მონე. 1953 წელს შეიქმნა რკინის, ნახშირის, მადნეულის და ჯართის საერთო ბაზარი; იმავე წელს, ცოტა მოგვიანებით, შეიქმნა ფოლადის საერთო ბაზარიც.

ორი წლის შემდეგ, იტალიის ქალაქ მესინაში ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ განეგრძოთ ინტეგრაციის პროცესი (ცნობილია მესინის ინიციატივის სახელით). შეიქმნა სამთავრობათაშორისო კომიტეტი, რომელმაც მოამზადა საფუძველი რომის ხელშეკრულებისათვის, რის შედეგადაც საფუძველი დაედო „ევროპის ეკონომიკური გაერთიანებას". რომის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ასპექტი იყო შეთანხმება საერთო ბაზრის შექმნის თაობაზე, რასაც მომავალში საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა. საერთო ბაზარი ითვალისწინებდა ევროგაერთიანების

[1] Winston Churchill, speech delivered at the University of Zurich, 19 September 1946.

წევრ ქვეყნებს შორის ბარიერების გაუქმებას საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილების კუთხით. რომის ხელშეკრულებამ საფუძველი ჩაუყარა, აგრეთვე, საერთო სოფლის მეურნეობისა და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

რომში ცალკე ხელშეკრულებით დაარსდა ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება, ე.წ. „ევრატომი“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ევროპაში ატომური ენერგიის საერთო ბაზრის შექმნა, კერძოდ: ატომური ენერგიის ინდუსტრიის განვითარება, ენერგიის გადანაწილება გაერთიანების წევრ სახელმწიფოებზე და დარჩენილი რესურსის მიყიდვა არაწევრი ქვეყნებისთვის.

1967 წელს ბრიუსელის ხელშეკრულებით მოხდა ზემოხსენებული სამი ორგანიზაციის: ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანების, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა (შემდგომში ევროგაერთიანება) და „ევრატომის“ აღმასრულებელი ორგანოების - კომისიისა (შემდგომში ევროპული კომისიის) და საბჭოს გაერთიანება ერთ ინსტიტუციურ სისტემაში, რომელსაც „ევროპული გაერთიანებები“, ხოლო 1992 წელის მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე - „ევროკავშირი“ ეწოდა.

ევროკავშირი მისი ისტორიის განმავლობაში ეტაპობრივად ფართოვდებოდა. 1951 წლიდან მოყოლებული ამ დრომდე სულ შვიდი გაფართოება მოხდა. ბოლო ათწლეულში მოხდა მეექვსე და მეშვიდე გაფართოებები. 2008 წლისთვის კიდევ ორი ქვეყანა რუმინეთი და ბულგარეთი შეუერთდა ევროკავშირს. 2013 წელს, დღეისათვის ბოლო გაფართოების შედეგად კი ხორვატია. ამ პროცესების შედეგად ევროკავშირი დღეს 28 სრულუფლებიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოსგან შედგება, რომელთა საერთო მიზანს კეთილდღეობისა და ეკონომიკური წინსვლის სურვილი წარმოადგენს და მასში 500 მილიონზე მეტი მოქალაქე ცხოვრობს.

სურ.1. ევროკავშირის რუკა

ევროკავშირის ეკონომიკა არის სიდიდით მეორე ეკონომიკა მსოფლიოში ნომინალური გამოხატულებით (აშშ-ის შემდეგ) და მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის შესაბამისადაც (ჩინეთის შემდეგ). 2018 წელს, ევროკავშირის ნომინალურმა მშპ-მ შეადგინა 18.8 ტრილიონი აშშ დოლარი, რაც მსოფლიო ეკონომიკის 22%-ს წარმოადგენს, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე ნომინალური მშპ - 38 370 აშშ დოლარია. საკმაოდ დაბალია ასევე ჯინის კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა 0.31-ის ტოლია.

ევროკავშირის მთავარი ეკონომიკური და ფინანსური ცენტრები, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა ინსტიტუტები, უმსხვილესი კომპანიები, ბანკები, არის ამსტერდამი, ბრიუსელი, ბუქარესტი, დუბლინი, ფრანკფურტი, ჰელსინკი, ლისაბონი, ლონდონი, მადრიდი, მილანი, პარიზი და გეტებორგი (შვედეთი).

გასული ორი წლის კლების შემდგომ, ევროპის ბაზარი უფრო გააქტიურდა, გაიზარდა მისი საგარეო სავაჭრო ბრუნვა. ექსპორტმა 2017 წელს 2.1 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასულ წელთან შედარებით 10%-ითაა გაზრდილი. ევროკავშირის ძირითად საექსპორტო სასაქონლო პოზიციებია: მანქანა-მოწყობილობები, ავტომობილები, ფარმაცევტული და სხვა ქიმიკატები, საწვავი, საჰაერო ხომალდები, პლასტმასები, რკინა და ფოლადი, ხის მერქნისა და ქაღალდის ნაწარმი, ალკოჰოლური სასმელები, ავეჯი. რაც შეეხება ევროპული საექსპორტო საქონლისთვის მნიშვნელოვანი ბაზარი არის აშშ, რადგან ევროპის მთელი ექსპორტის თითქმის 20% მოდის აშშ-ზე, მეორე ადგილზე საექსპორტო ბაზრებზე მოდის ჩინეთი და მისი წილი 10%-ია, მას მოყვებიან შვეიცარია (8%), რუსეთი (5%) და თურქეთი (4.5%).

გააქტიურებული ვაჭრობის ფონზე, 2017 წელს გაიზარდა ევროკავშირის იმპორტიც, მისი მოცულობა 2 ტრილიონი აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც გასული წლის მოცულობას 11%- ით აღემატება. ევროკავშირი ძირითადად ახორციელებს საწვავი და ნედლი ნავთობის, მანქანა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, ფარმაცევტული და სხვა ქიმიკატების, ძვირფასი ქვების, ქსოვილების, თვითმფრინავების, პლასტმასების, ლითონებისა და გემების იმპორტს. თუ შევხედავთ პარტნიორ ქვეყნებს, ამ მხრივ სურათი არ იცვლება, ტოპ-5 ქვეყანა ისევ იგივეა, თუმცა ევროკავშირისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ამასთან, უმსხვილეს იმპორტიორს წარმოადგენს ჩინეთი, საიდანაც ხორციელდება იმპორტის მეხუთედი ანუ დაახლოებით 20%. მეორე ადგილზეა აშშ, იმპორტული ბაზრის 14%-იანი წილით, შემდეგ რუსეთი (7%), შვეიცარია (6%) და თურქეთი (4%).

ევროკავშირის 28 წევრ სახელმწიფოს შორის მოქმედებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რომელიც ქვეყნებს საშუალებას აძლევს ბარიერებისა და მაღალი ტარიფების გარეშე, თანაბარ პირობებში, სამართლიანი ვაჭრობის პრინციპით, ერთმანეთთან დაამყარონ ეკონომიკური ურთიერთობები. ევროკავშირის 2004 წლის დიდი გაფართოება ნათელი მაგალითია იმისა, რომ თავისუფალი ვაჭრობის პირობებში ქვეყნებში დემოკრატიზაციის პროცესი სწრაფად და ეფექტურად მიმდინარეობს. ამის მაგალითია ე.წ

ვიშეგარდისა და ბალტიისპირა ქვეყნები. ამ ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმის მსხვრევის შემდეგ, სწრაფი ეკონომიკური განვითარების მისაღწევად და დემოკრატიული, პლურალისტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელი იყო თავისუფალი ვაჭრობის დამკვიდრება როგორც ერთმანეთთან, ისე სხვა ქვეყნებთანაც. ეს იყო საჭირო იმის გამო, რომ საერთაშორისო ვაჭრობა ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას, სამუშაოდ სხვადასხვა ქვეყანაში შეუფერხებლად გადასვლას, კულტურულ ინტეგრაციასა და ღიაობას, რაც საბოლოო ჯამში დემოკრატიულ ღირებულებებს აყალიბებს.

90-იანი წლებიდან მოყოლებული, სწორედ საერთაშორისო ვაჭრობის წყალობით, ამ ქვეყნებმა მოახერხეს სწრაფად ფეხზე დადგომა და ევროკავშირში გაწევრიანება. ევროკავშირი კი, მოგეხსენებათ, მრავალი შესაძლებლობის, მათ შორის თავისუფალი ვაჭრობის, ერთ-ერთი მთავარი წყაროა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, ორგანიზაციაში გაწევრიანებისა და საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმის შემდეგ, არც ერთი შეიარაღებული კონფლიქტი არ მომხდარა. კარგი მაგალითია სამხრეთ კორეისა და ტაივანის შემთხვევებიც. ოცი წლის წინ, ორივე ქვეყანაში ერთპარტიული მმართველობა იყო, სადაც უგულებელყოფილი იყო ყოველგვარი ადამიანის უფლებები და დემოკრატიული ღირებულებები. მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნებმა თავისუფალ ვაჭრობას მიჰყვეს ხელი, გარდა იმისა, რომ გამდიდრდნენ, შეიცვალა პოლიტიკური ვითარებაც. ხელისუფლების დიდი ხნით უზურპატორი პარტიები ოპოზიციურმა ძალებმა ჩაანაცვლეს, გაიზარდა მათი დემოკრატიულობის მაჩვენებელი, განვითარდა ეკონომიკა და გაიზარდა ცხოვრების დონეც.

საერთაშორისო ვაჭრობის პირობებში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები და ბიზნეს საქმიანობა უსაფრთხოებისა და მშვიდობის კიდევ ერთი გარანტიაა. საერთაშორისო ვაჭრობის პირობებში ხდება მრავალი პირდაპირი ინვესტიციის განხორციელება სხვადასხვა სახელმწიფოებში. ინვესტიციების განხორციელების დროს, როდესაც დიდი კომპანიები ამა თუ იმ ბაზრის ათვისებას აპირებენ, მნიშვნელოვანია, რომ მათი კერძო საკუთრების უფლება იყოს გარანტირებულად დაცული. თუ სახელმწიფოში კერძო საკუთრების უფლება არ არის დაცული, მაშინ ინვესტორები, როგორც წესი, არ

რისკავენ ასეთ სახელმწიფოში ფულის დაბანდებას. ინვესტიციები, რომ დამატებით სამუშაო ადგილებსა და მეტ კეთილდღეობას ნიშნავს, ვფიქრობ, ამაზე დავა არც ღირს. სახელმწიფოში სადაც ტრანსნაციონალური და გლობალური კომპანიები შედიან ბაზრების ასათვისებლად, მათი კერძო საკუთრების უფლებები აუცილებლად დაცულია. შესაბამისად, ასეთ სახელმწიფოებს გარდა ჯარისა და სხვა თავდაცვითი ინსტიტუტებისა, იცავს ძლიერი ბიზნესმენების კონკრეტული ინტერესები - იყოს მათი ბიზნესი დაცული ყოველგვარი ზარალისგან. ამ ინტერესების დასაცავად კი, ბიზნესმენებს თავის მხრივ ზურგს უმაგრებენ პოლიტიკოსებიც. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ბიზნესმენები, განსაკუთრებით კი მსხვილი ბიზნესმენები, ქვეყანაში მთავარი დამსაქმებლები და დოვლათის შემქმნელები არიან, შესაბამისად მათი ინტერესების დაზარალება ნიშნავს მოსახლეობის დიდი ნაწილის ზარალსაც, რასაც პოლიტიკური არასტაბილურობა მოყვება, ეს კი არავის ინტერესში არ შედის.

ევროკავშირის შიდა ბაზარი, ასევე ცნობილი როგორც „ერთიანი ბაზარი“, ხალხსა და ბიზნესს აძლევს ევროკავშირის ქვეყნებში თავისუფლად გადაადგილებისა და ვაჭრობის საშუალებას. პრაქტიკულად, ის სთავაზობს მომხმარებელს პროდუქციის ფართო არჩევანს და აძლევს მათი ყიდვის საშუალებას კონკურენტუნარიან ფასად, ამასთანავე, ხელს უწყობს მომხმარებელს იყოს დაცული საკუთარ ქვეყანაში ან/და საზღვარგარეთ ვაჭრობისას. ასევე დიდი და პატარა კომპანიებისთვის ამარტივებს კონკურენციას, ამავდროულად ამარტივებს და აიაფებს ბიზნესის კეთებას მთელ მსოფლიოსთან.

ერთიანი ბაზრის ქვაკუთხედია საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების თავისუფალი გადაადგილება, ცნობილი როგორც „ოთხი თავისუფლება“, რომლებიც ევროკავშირის ხელშეკრულებით არის განმტკიცებული. იგივე ხელშეკრულება უფლებამოსილებას აძლევს ევროკავშირის ინსტიტუტებს მიიღონ კანონები (რეგულაციების, დირექტივების და გადაწყვეტილებების სახით), რომლებიც უპირატესია ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით და სავალდებულოა ეროვნული ხელისუფლებებისთვის.

ერთ-ერთი გზა, რომლითაც ევროკავშირის ერთიანი ბაზრის წესები ევროპაში ბიზნესის კეთებას ამარტივებს, არის საერთო აღიარება, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ეროვნულმა ტექნიკურმა წესებმა ევროკავშირში საქონლით თავისუფალი ვაჭრობა არ შეაფერხოს. შესაბამისად, ერთ-ერთი წევრი ქვეყნის ბაზარზე განთავსებული ან ამ ქვეყანაში კანონიერად წარმოებული პროდუქტი შეიძლება გაიყიდოს სხვა ნებისმიერ წევრ ქვეყანაში.

ევროკავშირის ბაზარზე ბევრი პროდუქცია ექვემდებარება ჰარმონიზებულ წესებს, რომელიც იცავს მომხმარებელს, საზოგადო ჯანმრთელობასა და გარემოს. ჰარმონიზებული წესები გამორიცხავს განსხვავებული ეროვნული წესების მიღებას და უზრუნველყოფს პროდუქციის თავისუფალ მიმოქცევას ევროკავშირის ფარგლებში.

ერთიანი ბაზრის კანონმდებლობის მიზანია ევროკავშირის ბაზარზე განთავსებული პროდუქტი აკმაყოფილებდეს ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნებს და ეს პროდუქტი დაშვებულ იქნეს ევროკავშირის ბაზარზე სავაჭრო ბარიერების გარეშე, მინიმალური ადმინისტრაციული ტვირთით. სწორედ ზემოთაღნიშნული მომენტია საქართველოს ექსპორტის ანალიზის დროს საყურადღებო. უმნიშვნელოვანესი ელემენტები, რომელიც გასათვალისწინებელია საქონლის ექსპორტირებისთვის ევროკავშირის ერთიან ბაზარზე არის:

• **სტანდარტები** - სტანდარტები განსაზღვრავს პროდუქტის ტექნიკურ ან ხარისხობრივ მოთხოვნებს, წარმოების პროცესს, სერვისებს ან სატესტო მეთოდებს.

• **შესაბამისობის შეფასება** - შესაბამისობის შეფასების პროცედურა ტარდება პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე განთავსებამდე. საჭიროა დამტკიცება იმისა, რომ პროდუქტი შეესაბამება ყველა საკანონმდებლო მოთხოვნას და ასევე არის ტესტირებული, შემოწმებული და სერტიფიცირებული.

• **აკრედიტაცია** - აკრედიტაციის მიზანია უზრუნველყოს, შესაბამისობის შემფასებელ ორგანოებს (ლაბორატორიებს, ინსპექტირების ან სერტიფიცირების ორგანოებს) ჰქონდეთ თავიანთი მოვალეობის შესრულების ტექნიკური შესაძლებლობა. ის აძლიერებს

პროდუქტების, სერვისების, სისტემებისა და ორგანოების ურთიერთაღიარებას ევროკავშირის ფარგლებში;

• **ბაზრის ზედამხედველობა** - საბაზრო ზედამხედველობა უზრუნველყოფს, რომ არასაკვებმა პროდუქტმა ევროკავშირის ბაზარზე არ შეუქმნას საფრთხე ევროპელ მომხმარებლებს. ასევე უზრუნველყოფს სხვა საჯარო ინტერესის დაცვას, როგორებიცაა გარემო, უსაფრთხოება და სამართლიანობა სავაჭრო სფეროში. ბაზრის ზედამხედველობამ შეიძლება გამოიწვიოს შეუსაბამო პროდუქტის მიმოქცევის შეჩერების და/ან მათი შესაბამისობაში მოყვანის სანქციები;

• **„CE მარკირება"** - CE მარკირება დაინერგა ევროპის ტექნიკური ჰარმონიზაციის კანონმდებლობის შესაბამისად. იგი სავალდებულოა ყველა პროდუქტისთვის, რომელსაც ეხება ერთი ან მეტი ევროდირექტივა და უზრუნველყოფს ამ პროდუქტის თავისუფალ გადაადგილებას ევროკავშირში. პროდუქტზე „CE მარკირების" უფლების მოსაპოვებლად მწარმოებლებმა უნდა ჩაატარონ ან ჩატარებული უნდა ჰქონდეთ კონტროლი და ტესტირება იმის დასამტკიცებლად, რომ პროდუქცია შეესაბამება აუცილებელ მოთხოვნებს, რომლებიც მეტწილად ეხება ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, როგორც ეს შესაბამის დირექტივაშია მითითებული. CE მარკირებასთან დაკავშირებული დირექტივებით გათვალისწინებული პროდუქტების ბაზარზე განთავსება „CE მარკირების" გარეშე დაუშვებელია.

ევროკავშირის სურსათის უვნებლობის პოლიტიკის მთავარი მიზანია უზრუნველყოს საკვები მრეწველობის დარგში ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მაღალი ხარისხი. ევროკავშირი მიზნად ისახავს უზრუნველყოს სურსათის უვნებლობის, ცხოველებისა და მცენარეების ჯანმრთელობის დაცვის მაღალი ხარისხი ევროკავშირის სტანდარტების მონიტორინგის სისტემის საშუალებით, რათა უზრუნველყოს შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება.

ევროკავშირის სურსათის უვნებლობის შესახებ კანონმდებლობა არის ჰარმონიზებული და ევროკავშირის ერთიანი ბაზრის სავაჭრო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ეს სექტორი უდიდეს სარგებელს იღებს.

შესაბამისმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყონ ეფექტიანი კონტროლის სისტემის შექმნა და შესაბამისობა ევროკავშირის სტანდარტებთან მიმართებაში, სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობის, ცხოველთა კეთილდღეობის, ცხოველთა კვების და მცენარეთა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით, ევროკავშირში და მესამე ქვეყნებში ევროკავშირთან ექსპორტის შემთხვევაში.

1.2. თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან (DCFTA)

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან იწყება. 1992 წელს ევროგაერთიანებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა და მასთან თანამშრომლობა დაიწყო. თავდაპირველად ეს თანამშრომლობა დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობდა და, ძირითადად, შემოიფარგლებოდა საქართველოსთვის ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარებებით. ამავე პერიოდში ევროკავშირმა წამოიწყო თავისი პროგრამა **TACIS** - ტექნიკური დახმარების პროგრამა დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისთვის (**Technical Assistance to the Commonwealth of Independent States**)[2]. მიზეზი გახლდათ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მის ყოფილ ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალური ვაკუუმის აღმოფხვრა, რასაც დახმარება სჭირდებოდა. 2007 წელს TACIS -ის პროგრამა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტმა (ENPI) ჩაანაცვლა. აღნიშნული პროგრამა იმ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენდა, რომლის საშუალებითაც ევროკავშირი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების განხორციელებას უზრუნველყოფდა. 1992–2006 წლებში ევროკომისიამ ტასისის

[2] https://en.wikipedia.org/wiki/Technical_Aid_to_the_Commonwealth_of_Independent_States

ფარგლებში საქართველოში ასობით პროექტის განსახორციელებლად 131 მილიონამდე დახმარება გამოყო.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა წლების განმავლობაში სულ უფრო მეტად იზრდებოდა. 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში. შეთანხმება დაიდო 10 წლის ვადით, ვადის ამოწურვის შემდეგ კი ავტომატურად გაგრძელდებოდა ყოველ წელს, თუ რომელიმე მხარე საწინააღმდეგო პოზიციას არ დააფიქსირებდა. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება მოიცავდა მრავალ სფეროს, სადაც მხარეები იღებდნენ ვალდებულებას, ერთობლივად ემუშავათ გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების მისაღწევად. მართალია, შეთანხმება არ განსაზღვრავდა კრიტერიუმებს თანამშრომლობის შუალედური ან საბოლოო მიზნებისთვის (მაგალითად, ევროკავშირში გაწევრიანების აუცილებელ კრიტერიუმებს), მაგრამ იგი ითვალისწინებდა ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის უწყვეტ პროცესს.

2000 წლიდან შეიქმნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშემწყობი სამთავრობო კომისია, რომელსაც სხვა ფუნქციებთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ხელშეწყობა დაევალა. კომისიის მიერ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შემუშავდა საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგია, რომელიც დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 14 ივნისის #613 განკარგულებით. შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამის შემუშავება. პროგრამაზე მუშაობა 2001-2003 წლებში მიმდინარეობდა.

ორმხრივი ურთიერთობები უფრო ინტენსიური 2003 წლიდან ხდება, როცა საქართველო აქტიურად იწყებს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას. 2004 წლის 8 მაისის განკარგულებით, საქართველოს მთავრობამ მოიწონა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა და მთავრობის წევრებს დაევალათ ეროვნული პროგრამის შესასრულებლად ინდივიდუალური (სექტორული) სამოქმედო გეგმების შემუშავება.

საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებში სრულიად ახალი ეტაპი კი 2014 წლიდან იწყება, როდესაც ასოცირების შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი. 2014 წლის 27 ივნისს საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ ხელი მოაწერეს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებებს, რის შემდეგაც იგი ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის 28 წევრი სახელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული. ეს შეთანხმებები ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს საქართველოსა და მოლდოვასათვის და 2017 წლის 1 სექტემბერს უკრაინისთვის. უფრო კონკრეტულად, საქართველოსთვის შეთანხმების ეკონომიკური ნაწილი პირობითად (conditional application) 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა, ხოლო 2016 წლის 1 ივლისს იგი უკვე სრულად შევიდა ძალაში.

ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძვლის შექმნისას ისინი მიზნად ისახავს ეკონომიკურ განვითარებას, გრძელვადიან სტაბილურობას, გამჭვირვალობასა და ბიზნესის პროგნოზირებადობას. ასოცირების შესახებ შეთანხმებები ასევე უზრუნველყოფს ***ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის*** (DCFTA) შექმნას, რომელიც განსაზღვრავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტებს, რაც სატარიფო, არასატარიფო და მარეგულირებელი ბარიერების თანდათანობით მოხსნის გზით, შექმნის ეკონომიკური თანამშრომლობისა და ვაჭრობის ახალ შესაძლებლობებს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, დაასტიბულირებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, გაზრდის ეკონომიკურ მოდერნიზაციას და ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ამ სამ ქვეყანაში.

მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება ძირითადად მაინც ტექნიკური ხასიათისაა, თავისი არსით იგი საქართველოსთვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობისაა, რადგან

საქართველოს ევროპულ იდენტობას ადასტურებს და ხაზს უსვამს ქვეყნის სტრატეგიულ საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს, რაც ევროკავშირთან უფრო მჭიდრო კავშირების დამყარებაში მდგომარეობს. შეთანხმების ეკონომიკური მიზანია საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზების პროცესის მხარდაჭერა, ევროკავშირთან და სხვა, მსოფლიოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებთან ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობით და ეკონომიკური რეგულირების ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად რეფორმირების გზით. ეს ნაბიჯები, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის უმაღლესი დონის მიღწევას.

თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნისთვის ძირითადი ამოსავალი წერტილი ტარიფების ლიბერალიზაციაა. საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და კონკურენტული სავაჭრო რეჟიმი აქვს, იმ თვალსაზრისით, რომ საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, 2006 წლის 1 სექტემბრიდან საიმპორტო ტარიფების 16 სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე (0, 5 და 12%); საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 85%-ზე; აღარ არსებობს სეზონური ტარიფები. იმპორტირებულ საქონელზე ტარიფი დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად[3]. 2014 წლის პირველ სექტემბერს DCFTA-ს პირობითად ძალაში შესვლის შემდეგ ევროკავშირმა ასევე განახორციელა საქართველოდან იმპორტზე ტარიფების ლიბერალიზაცია და ამით დაასრულა თავისუფალი სავაჭრო სივრცის ძალაში შესვლა სატარიფო ნაწილში.

მოლდოვასთან და უკრაინასთან გაფორმებული DCFTA- ებისაგან განსხვავებით, საქართველოსთან გაფორმებული შეთანხმება არ ითვალისწინებს იმპორტის გადასახადის გაუქმებისთვის გარდამავალ პერიოდებს. ეს გამოწვეულია საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ზემოთაღნიშნული ლიბერალური რეფორმებით. გარდა ამისა, DCFTA კრძალავს რაოდენობრივ შეზღუდვებს იმპორტსა და ექსპორტზე, გარდა WTO-ს შესაბამისი წესებით დადგენილი შემთხვევებისა[4].

---

[3] საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თავი XXVIII – „იმპორტის გადასახადი“

[4] „გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (GATT)“, მუხლი XI, 1994.

DCFTA საქონლით ვაჭრობის ლიბერალიზაციის სფეროში სამ გამონაკლისს ითვალისწინებს და ეს სამივე გამონაკლისი სოფლის მეურნეობის პროდუქციას ეხება. პირველი, ევროკავშირი გაავრცელებს წლიურ სატარიფო ქვოტას ნიორზე. კერძოდ, საქართველოს უფლება აქვს ყოველწლიურად 220 ტონა ნიორი შეიტანოს ევროკავშირში საბაჟო ტარიფის გარეშე. ევროკავშირის MFN საბაჟო გადასახადის განაკვეთი გავრცელდება იმპორტზე, რომლის მოცულობა აღემატება სატარიფო ქვოტას. მეორე, გარკვეული კატეგორიის ხილსა და ბოსტნეულზე ევროკავშირში იმპორტთან დაკავშირებული „ბაზარზე შესვლის ფასის“ სისტემა გავრცელდება (მაგ. პომიდორი, ყაბაყი და ატამი). „ბაზარზე შესვლის ფასის” სისტემის ფარგლებში საბაჟო გადასახადი ორი კომპონენტისგან შედგება: ადვალური გადასახადი (ad valorem) და სპეციფიური გადასახადი. DCFTA-ის ფარგლებში გაუქმებულია ადვალური გადასახადი, რომელიც საბაჟო ღირებულების პროცენტის სახითაა გამოხატული. სპეციფიური გადასახადი, რომელიც გამოიხატება €/100კგ-ზე, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაბალია ევროკავშირში იმპორტირებული პროდუქციის საბაჟო ღირებულება (ინვოისში ასახული ღირებულება) ევროკავშირის მიერ დადგენილ შესატან ფასზე. სპეციფიური გადასახადის ოდენობა ნულის ტოლია, როდესაც პროდუქციის საბაჟო ღირებულება უტოლდება, ან აღემატება „ბაზარზე შესვლის ფასს”. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ უმეტეს შემთხვევაში საქართველოდან იმპორტირებულ საქონელზე სპეციფიკური გადასახადი არ გავრცელდება რადგან რეალურად საქონლის ღირებულება „ბაზარზე შესვლის ფასზე“ მაღალია. მესამე, შეთანხმების II-C დანართში მოცემული (გადამუშავებული) სასოფლო- სამეურნეო პროდუქციის უმეტესობა ექვემდებარება „გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს”. ამ დანართში განსაზღვრულია ამ პროდუქტების თითოეული კატეგორიის საქართველოდან ევროკავშირში იმპორტის საშუალო წლიური მოცულობა (ანუ მოცულობა, რომლის შემდეგაც მექანიზმი ამოქმედდება). თუ წლის განმავლობაში საქართველოდან ევროკავშირში პროდუქციის იმპორტის მოცულობა მიაღწევს წინამდებარე შეთანხმების II-C დანართში მითითებული მოცულობის 70%-ს, ევროკავშირი ატყობინებს საქართველოს კონკრეტული პროდუქტების იმპორტის მოცულობის შესახებ. როდესაც პროდუქტის

იმპორტი მიაღწევს წინამდებარე შეთანხმების II-C დანართში მითითებული რაოდენობის 80%-ს, საქართველო წარუდგენს ევროკავშირს მყარ დასაბუთებას იმის შესახებ, რომ საქართველოს აქვს შესაძლებლობა აწარმოოს პროდუქცია ევროკავშირში ექსპორტისათვის დანართში მითითებული მოცულობის ზემოთ. ამ შემთხვევაში საქართველოს შეუძლია ევროკავშირის ბაზარზე შეიტანოს დადგენილ მოცულობაზე მეტი საქონელი. ამგვარად, მოცემული დებულება არ ზღუდავს საქართველოს ექსპორტს, არამედ წარმოადგენს დამცავ მექანიზმს, რათა მესამე ქვეყნების პროდუქცია გაყალბების გზით არ მოხვდეს ევროკავშირის ტერიტორიაზე როგორც ქართული პროდუქცია.

საქონლით საგარეო ვაჭრობის ანალიზისას ძალიან მნიშვნელოვანია საქონლის წარმოშობის შესახებ ინფორმაცია, რათა სწორად გაიმიჯნოს სასაქონლო სავაჭრო ნაკადები, კერძოდ ადგილობრივი ექსპორტი და რეექსპორტი. საქონლის „წარმოშობა“ არის საქონლის ეკონომიკური ეროვნება საერთაშორისო ვაჭრობის დროს. წარმოშობის წესები ორი ტიპისაა:

- არაპრეფერენციული
- პრეფერენციული

არაპრეფერენციული წარმოშობის წესები გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის: უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN), ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ტარიფები, დაცვითი ღონისძიებები, რაოდენობრივი და სატარიფო კვოტები, წარმოშობის მარკირება და სავაჭრო სტატისტიკა. არაპრეფერენციული წარმოშობის წესები რეგულირდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის 1994 წლის გენერალური შეთანხმებით ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ და საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ კიოტოს 1974 წლის კონვენციის დანართით.

პრეფერენციული წარმოშობის წესები ემსახურება საქონლის იმპორტისას პრეფერენციული ტარიფების დაწესების მიზანს - სავაჭრო რეჟიმების გამოყენებას. პრეფერენციული წარმოშობის წესები რეგულირდება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების ან ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე.

საქონლის წარმოშობის წესებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ასოცირების შეთანხმებაშიც და მის პირველივე ოქმშია ასახული. წარმოშობის წესები განსაზღვრავს,

როდის არის მიჩნეული პროდუქცია მთლიანად წარმოშობილად ხელშემკვრელ მხარის ტერიტორიაზე, ან „საკმარისად დამუშავებულად ან გადამუშავებულად“ იმისთვის, რომ მასზე გაცემული იქნას წარმოშობის სერტიფიკატი „EUR.1“ და გავიდეს საქართველოდან როგორც ქვეყნის ექსპორტი და არა რეექსპორტი. ოქმის დანართი განსაზღვრავს ყოველი პროდუქტის „საკმარისად გადამუშავების“ კრიტერიუმები:

A. სასაქონლო კოდის შეცვლა (მაგ. ჩაითვლება, რომ ხრახნი საქართველოშია წარმოშობილი, თუ იგი იმპორტირებული ფოლადისგანაა დამზადებული, რომელიც განსხვავებული სატარიფო დასათაურებით აღირიცხება);

B. მინიმალური დამატებული ღირებულება (მაგ. მსუბუქი ავტომობილის შემთხვევაში, მისი წარმოებისთვის გამოყენებული ყველა მასალის ღირებულება, რომელიც არ არის წარმოშობილი ქვეყანაში, არ უნდა აღემატებოდეს ავტომობილის მთლიანი ღირებულების 40%-ს);

C. კონკრეტული დამუშავების, ან გადამუშავების მოთხოვნები, რომლებიც პროდუქციის ყოველ ცალკეულ კატეგორიასთან დაკავშირებით განისაზღვრება;

D. პირველი სამი მოთხოვნის კომბინაცია.

საქონლის წარმოშობასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცემული ოქმი ითვალისწინებს „დიაგონალურ კუმულაციას“ თურქეთთან სამრეწველო საქონელთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ამჟამად თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი გააჩნია როგორც ევროკავშირთან, ასევე თურქეთთან. ეს ნიშნავს, რომ ქართველ მწარმოებელს შეუძლია აწარმოოს პროდუქცია თურქეთიდან იმპორტირებული ნედლეულისაგან და განახორციელოს ამ პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირში „ქართული პროდუქციის“ სახით იმ პირობით, რომ პროდუქტმა საქართველოსა და თურქეთში ერთად სავალდებულო მინიმალური გადამუშავებაზე მეტი გადამუშავება გაიარა. თუმცა სანამ დიაგონალური კუმულაციის მოთხოვნა გავრცელდება, საქართველო და თურქეთი ვალდებულნი არიან ცვლილებები შეიტანონ ორმხრივ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში (FTA), ამ შეთანხმების ევროკავშირის წარმოშობის წესების სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ხაზგასასმელია, რომ DCFTA-ით გათვალისწინებული დიაგონალური კუმულაცია უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაციისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს შეზღუდული მოცულობის ნედლეული გააჩნია. თურქეთთან დიაგონალური კუმულაციის რეჟიმის ამოქმედება მნიშვნელოვნად გაზრდის DCFTA-სგან მიღებულ სარგებელს ექსპორტისა და ინვესტიციების ხელშეწყობის თვალსაზრისით. თურქეთმა უკვე განახორციელა ექსპორტზე ორიენტირებული ინვესტიციები, მაგალითად ტექსტილის წარმოებაში. მოსალოდნელია, რომ დიაგონალური კუმულაციის რეჟიმის ძალაში შესვლის შემდეგ ეს ბიზნესი კიდევ უფრო გაფართოვდება და ახალი ინვესტიციებიც განხორციელდება.

1.3. სტატისტიკის მნიშვნელოვნება ასოცირების შეთანხმებაში

თანამედროვე და საერთაშორისო სისტემებთან თავსებადი სტატისტიკის სისტემის არსებობა უაღრესად მნიშვნელოვანია სხვადასხვა პოლიტიკის განსაზღვრისა და ბიზნეს და სამოქალაქო სექტორის ფუნქციონირებისთვის. ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს მსგავსი გამოწვევები ჰქონდა და მათ თავიანთი სტატისტიკური სისტემების ძირეული გარდაქმნა მოუწიათ. კერძოდ, ამ სახელმწიფოებმა ძველი სისტემებიდან, რომლებიც სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებოდა, იმ სისტემებზე გადასვლა განახორციელეს, რომლებიც კერძო სექტორისა და საზოგადოების ინტერესებს ემსახურება.

ასოცირების შესახებ შეთანხმების მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას სტატისტიკის საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს დროული, საიმედო და საერთაშორისო დონეზე შედარებადი სტატისტიკური მონაცემების უზრუნველყოფის გრძელვადიანი მიზნის შესრულებას. მოსალოდნელია, რომ ეფექტიანი და პროფესიონალურად დამოუკიდებელი ეროვნული სტატისტიკის სისტემა საქართველოსა და ევროკავშირის მოქალაქეებს, ბიზნესებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მიაწვდის რელევანტურ ინფორმაციას, რაც საშუალებას მისცემს მათ, მის საფუძველზე მიიღონ გადაწყვეტილებები. შეთანხმებაში ასევე აღნიშნულია, რომ ეროვნული სტატისტიკის

სისტემა დაიცავს გაეროს „ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტურ პრინციპებს“, სტატისტიკის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის, მათ შორის, „ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის“ გათვალისწინებით, ეროვნული სტატისტიკის სისტემის ევროპის სტატისტიკის ნორმებსა და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

შეთანხმებაში ნახსენებია, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა სტატისტიკის მიმართულებით მიზნად ისახავს:

(a) ეროვნული სტატისტიკის სისტემის შესაძლებლობების შემდგომ გაძლიერებას, რომლის ფარგლებშიც აქცენტი გაკეთდება საფუძვლიანი საკანონმდებლო ბაზის განვითარებაზე, ადეკვატური მონაცემებისა და მეტამონაცემების წარმოებაზე, გავრცელების პოლიტიკასა და მომხმარებლებზე ორიენტირებულობაზე, მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფების გათვალისწინებით, კერძოდ, საჯარო და კერძო სექტორი, აკადემიური წრეები და სხვა მომხმარებლები;

(b) საქართველოს სტატისტიკის სისტემის ევროპის სტატისტიკის სისტემასთან პროგრესული შესაბამისობის მიღწევას;

(c) ევროკავშირისათვის მაქსიმალურად დაზუსტებული მონაცემების მიწოდება სათანადო საერთაშორისო და ევროპული მეთოდოლოგიების, მათ შორის, კლასიფიცირების მეთოდოლოგიის გამოყენების მეშვეობით;

(d) სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანამშრომლების პროფესიული და მართვის შესაძლებლობების ამაღლებას, რაც ხელს შეუწყობს ევროკავშირის სტატისტიკის სტანდარტების გამოყენებას და წვლილს შეიტანს საქართველოს სტატისტიკის სისტემის განვითარებაში;

(e) მხარეებს შორის გამოცდილების გაზიარებას სტატისტიკური „*know-how*“-ს განვითარების მიმართულებით; და

(f) სტატისტიკური მონაცემების წარმოებისა და გავრცელების ყველა პროცესის ხარისხის სრული მართვის ხელშეწყობას.

მხარეები ითანამშრომლებენ ევროპის სტატისტიკის სისტემის ფარგლებში, რომელშიც „ევროსტატი“ წარმოადგენს ევროპის სტატისტიკის ხელმძღვანელ ორგანოს. თანამშრომლობა მოიცავს შემდეგ სფეროებს:

(a) მაკროეკონომიკური სტატისტიკა, მათ შორის ეროვნული ანგარიშები, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა;

(b) დემოგრაფიული სტატისტიკა, მათ შორის აღწერა და სოციალური სტატისტიკა;

(c) სოფლის მეურნეობის სტატისტიკა, მათ შორის სოფლის მეურნეობის აღწერა და გარემოს დაცვის სტატისტიკა;

(d) ბიზნეს სტატისტიკა, რომელიც მოიცავს ბიზნესის რეესტრს და ადმინისტრაციული წყაროების სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენებას;

(e) ენერგეტიკის სტატისტიკა, მათ შორის ბალანსები;

(f) რეგიონული სტატისტიკა;

(g) ჰორიზონტალური საქმიანობა, მათ შორის სტატისტიკური კლასიფიკაციები, ხარისხის მართვა, მომზადება, გავრცელება, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;

(h) სხვა შესაბამისი სფეროები.

ევროკავშირმა აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყნის და ცენტრალური აზიის ქვეყნების მონაწილეობით ინტენსიური თანამშრომლობის პროგრამები განახორციელა, რათა აღნიშნული ქვეყნებისთვის დახმარება გაეწია სტატისტიკის რეფორმების რთულ და გრძელვადიან პროცესში.

უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს შემთხვევაში ეს პროცესი კიდევ უფრო გაფართოებულია თანამშრომლობით და ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებით, რომელთა თანახმადაც ამ ქვეყნებმა თავიანთი სტატისტიკური სისტემები უნდა შეუსაბამონ ევროკავშირის სისტემებს, კერძოდ კი ევროსტატის სისტემას,

რომლის სტატისტიკური მოთხოვნების კრებული მოიცავს დიდი რაოდენობის რეგულაციებს.

ევროსტატსა და პარტნიორ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის სტრუქტურა შემდეგი სახისაა:

- წელიწადში ერთხელ სამდღიანი სემინარის ჩატარება სტატისტიკის სტრატეგიის საკითხებზე;
- ორწლიანი ციკლის განმავლობაში 5 ან 6 ტრენინგის ჩატარება სტატისტიკური სისტემების სფეროში სიახლეების და გამოწვევების თაობაზე;
- შერჩეულ მონაცემთა ჯგუფების შეგროვება, სულ დაახლოებით 300 (მონაცემთა ძირითადი ჯგუფების შერჩევა, თუმცა მათი რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე ევროკავშირის წევრი ქვეყნები აგროვებენ), რომელთა მიხედვით და ევროსტატის კითხვარების შესაბამისად, პარტნიორი სახელმწიფოები წარადგენენ მონაცემებს. შედეგად ევროსტატს ეძლევა უფლება გამოაქვეყნოს შედარებადი მონაცემები;
- უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს სტატისტიკური სისტემების სიღრმისეული შეფასება (ე.წ. გლობალური შეფასებები).

საქართველოში სტატისტიკური საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები დადგენილია კანონით ოფიციალური სტატისტიკის შესახებ, რომელიც 2010 წელს შევიდა ძალაში. კანონის მიზანია სტატისტიკის საერთაშორისოდ აღიარებული ძირითადი პრინციპების საფუძველზე ქვეყანაში დამოუკიდებელი, ობიექტური და სანდო სტატისტიკის წარმოების უზრუნველყოფა გაეროს და ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის ფუნდამენტალური პრინციპების შესაბამისად.

ევროსტატმა 2013 წელს დაასრულა საქართველოს სტატისტიკური სისტემის გლობალური შეფასება მისი გაეროს და ევროპის პრაქტიკის კოდექსთან და ევროსტატის სტატისტიკური მოთხოვნების კრებულთან შესაბამისობის თვალსაზრისით[5]. ანგარიშის ძირითადი რეკომენდაციები შეეხებოდა ინსტიტუციონალურ ჩარჩოს, კერძოდ კი საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახურის (საქსტატის) დამოუკიდებლობას.

[5] „Adapted Global Assessment of the National Statistical System of Georgia", 18 April 2013

ზემოთხსენებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2015 წელს კანონში ცვლილებები იქნა შეტანილი, რომლის თანახმად საქსტატის საბჭოს არა-საჯარო მოხელე წევრების დანიშვნის პროცედურები შეიცვალა და ისინი ღია კონკურსის წესით ინიშნებიან. გარდა ამისა, საქსტატი მრჩეველთა საბჭოს ჩამოყალიბდა. საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, ბიზნეს რესპოდენტებიც ასევე ვალდებულნი არიან შეავსონ საქსტატის კითხვარები. ნაწილი რეკომენდაციებისა დამუშავების პროცესშია და იგი მომავალში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

2014 წელს საქსტატში ხარისხის და მეთოდოლოგიის ქვედანაყოფი შეიქმნა. ასევე ეროვნული სტატისტიკური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომლისთვისაც გაცნობილ იქნა ევროპის პრაქტიკის კოდექსი.

შეთანხმების აღსრულების მიზნით ევროკავშირი და საქართველო ათანხმებენ ეროვნულ წლიურ სამოქმედო გეგმებს. საქსტატის 2017 და 2018 წლების სამოქმედო გეგმები ფოკუსირებულია ეროვნულ ანგარიშებზე, მონაცემთა ხარისხის საკითხებზე, საგარეო ვაჭრობასა და ბიზნეს სტატისტიკაზე.

2016 წელს შემუშავდა საწარმოთა ზომის განმსაზღვრელი ახალი მეთოდოლოგია, რომელიც დაახლოებულია EUROSTAT-ის მეთოდოლოგიასთან. 2017 წლის პირველი კვარტლიდან საქსტატი ავრცელებს ახალი მეთოდოლოგიით დამუშავებულ ბიზნეს სტატისტიკას. ახალი პროგრამა გამოიყენება ასევე საგარეო ვაჭრობის მონაცემების დამუშავებისთვისაც. 2016 წლის იანვრიდან საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა სტანდარტულ ფორმატთან ერთად ვრცელდება ასევე ფართო ეკონომიკური კატეგორიების (BEC) და სტანდარტული საერთაშორისო სავაჭრო კლასიფიკაციის (SITC) მიხედვით. 2017 წლის თებერვლიდან საქართველოს საქონლით საგარეო ვაჭრობის მონაცემები მუშავდება და ვრცელდება ტრანსპორტის სახეობების მიხედვით. 2016 წლის შესაბამისი მონაცემები ასევე სრულად განახლებულია.

საქსტატი ამჟამად ვერ უზრუნველყოფს მომსახურებით ვაჭრობის შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებას. ამ სფეროში მდგომარეობის გაუმჯობესება

წარმოადგენს ამჟამად მომზადების პროცესში მყოფი Twining პროექტის ერთ-ერთ პრიორიტეტს.

გასული წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ეროვნული სტატისტიკური სისტემის შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით, თუმცა ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რათა ის შესაბამისობაში მოვიდეს EUROSTAT-ის სტატისტიკურ მოთხოვნებთან.

თავი 2. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება, მაჩვენებელთა სისტემა და მათი გაანგარიშების მეთოდოლოგია

2.1. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგია, აღრიცხვის მეთოდები და მაჩვენებელთა სისტემა

სტატისტიკურ მონაცემთა საერთაშორისო ურთიერთშესადარისობის უზრუნველყოფისათვის მნიშნელოვანია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება, რომელთა საფუძველზე გაანგარიშებული მაჩვენებლები შესადარისია ქვეყნების და გლობალურ დონეზე.

საქართველოში ამჟამად საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ფორმირება ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის განყოფილების (UNSD) რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული მეთოდოლოგიის, "საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, სახელმძღვანელო შემდგენელთათვის" (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2004 წ.) და უახლესი რეკომენდაციების „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, კონცეფციები და განსაზღვრებები, 2010 წ." (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2011 წ.) შესაბამისად.

რეკომენდებული მეთოდოლოგიები ითვალისწინებს საქონლის კატეგორიების განსაზღვრას, რომელიც უნდა აღირიცხოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ან დარჩეს მის საზღვრებს მიღმა, ასევე, იმ საქონლის გამოყოფას, რომელიც არ აღირიცხება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, მაგრამ ცალკე უნდა იქნას დამუშავებული, რათა შესაძლებელი იყოს მონაცემებში შესაბამისი კორექტირების შეტანა ქვეყნის საგადასახდელო ბალანსისა და ეროვნული ანგარიშების მიზნებიდან გამომდინარე. მეთოდოლოგიური საკითხები ასევე მოიცავს საგარეო ვაჭრობის სხვადასხვა სისტემების გამიჯვნას, სასაქონლო კლასიფიკაციებს, საქონლის ღირებულების განსაზღვრას, მონაცემთა შეგროვების სტრატეგიებს, მონაცემთა ხარისხს, მეტამონაცემებს და სტატისტიკური მონაცემების გავრცელების საკითხებს, რომლებიც საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას ანიჭებს მკვეთრად განსხვავებულ როლსა და მნიშვნელობას ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზის, პროგნოზირებისა და ეფექტიანი სავაჭრო და საგარეო პოლიტიკის შემუშავების საკითხებში.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისას ერთმანეთისგან განასხვავებენ ქვეყნის ეკონომიკურ, საბაჟო და სტატისტიკურ ტერიტორიებს, რომლებიც შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში ემთხვეოდეს კიდეც ერთმანეთს. თუ სტატისტიკური ტერიტორია არ ემთხვევა ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიას, მაშინ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში შემოსული და გასული სასაქონლო ნაკადების სრულ აღრიცხვას.

სტატისტიკური ტერიტორია წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიის იმ ნაწილს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება. ქვეყნების უმრავლესობაში სავაჭრო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მოპოვება წარმოებს საბაჟო პროცედურების საფუძველზე და ამ ქვეყნებში სტატისტიკური ტერიტორიის საზღვრად განიხილება სწორედ საბაჟო ტერიტორიის საზღვარი.

საბაჟო ტერიტორია, თავის მხრივ, წარმოადგენს ტერიტორიას, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობა. მიუხედავად ამისა, ქვეყნებს შორის განხორციელებული გაზრდილი სასაქონლო სავაჭრო ნაკადები არ ხვდება საბაჟო

აღრიცხვის ფარგლებში ან აღირიცხება არასრულად. ამ მიზეზების გამო, უმეტეს შემთხვევაში სტატისტიკური ტერიტორიის განსაზღვრა უფრო ფართო ხასიათს იძენს საბაჟო ტერიტორიასთან შედარებით და სტატისტიკის მწარმოებლები იძულებულნი არიან გამოიყენონ ინფორმაციის არასაბაჟო წყაროები, რათა მოახდინონ იმ სავაჭრო ოპერაციების მოცულობის დადგენა, რომლებიც ხორციელდება სტატისტიკური ტერიტორიის საზღვრებში.

ქვეყნის სტატისტიკურ სამსახურებს შეუძლიათ განსაზღვრონ სტატისტიკური ტერიტორია მასთან დაკავშირებული ეკონომიკური ტერიტორიის ელემენტების ნუსხის შედგენით. ეს ელემენტები აღიწერება საბაჟო კანონმდებლობის საფუძველზე და შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა ქვეყნებში. თუმცა მონაცემთა საერთაშორისო ურთიერთშესადარისობის უზრუნველყოფისთვის, ქვეყნებს ეძლევათ რეკომენდაცია, რომ ზუსტად განისაზღვროს არსებობს თუ არა მათ ქვეყანაში შემდეგი ტერიტორიული ელემენტები და მოიცავს თუ არა მათი სტატისტიკური ტერიტორია აღნიშნულ ელემენტებს:

ა) კუნძულები;

ბ) ტერიტორიული წყლები;

გ) კონტინენტური შელფი;

დ) ოფშორული ან კოსმოსური დანადგარები და აპარატები;

ე) თავისუფალი ვაჭრობის ზონები;

ვ) თავისუფალი ინდუსტრიული ან ეკონომიკური ზონები;

ზ) საბაჟო საწყობები;

თ) შიდა გადამუშავების ადგილები;

ი) სხვა ქვეყნებში სტატისტიკური აღრიცხვის ქვეყნის ტერიტორიული ანკლავები (მაგალითად, ჩვენი ქვეყნის საელჩოები, საკონსულოები, სამხედრო და სამეცნიერო ბაზები სხვა ქვეყნებში);

კ) ტერიტორიული ექსკლავები, ანუ სხვა ქვეყნების ანკლავები სტატისტიკური აღრიცხვის ქვეყანაში.

აღნიშნული საკითხები წარმოადგენს საკვანძო მომენტებს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის დამუშავებისას. ყველაფერი ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ზუსტად განხორციელდეს იმ სასაქონლო ნაკადების გამიჯვნა, რომლებიც ექვემდებარება საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ასახვას.

იმის მიხედვით, თუ ეკონომიკური ტერიტორიის რა ნაწილს მოიცავს სტატისტიკური ტერიტორია, ქვეყნების მიერ გამოყენებული სავაჭრო სისტემები შეიძლება იყოს „ზოგადი“ და „სპეციალური“. ზოგადი და სპეციალური ვაჭრობა გულისხმობს იმ მეთოდების ერთობლიობას, რომელთა მიხედვითაც ხდება საგარეო სავაჭრო სასაქონლო ნაკადების რეგისტრაცია და აღრიცხვა.

- *ზოგადი ვაჭრობის* მეთოდის გამოყენებისას საგარეო სავაჭრო სასაქონლო ნაკადები აღირიცხება მათ მიერ საზღვრის გადაკვეთის მომენტში, მიუხედავად იმისა, დაუყოვნებლივ მოხვდა ეს საქონელი უშუალო იმპორტიორთან (იმპორტის შემთხვევაში), თუ ამავე მომენტში დატოვა ამ საქონელმა ექსპორტიორი ეკონომიკური ერთეულის საწყობი (ექსპორტის შემთხვევაში).
- *სპეციალური ვაჭრობის* მეთოდის გამოყენებისას საქონლის ექსპორტი რეგისტრირდება მაშინ, როდესაც იგი დატოვებს ექსპორტიორი ეკონომიკური ერთეულის საწყობს, მიუხედავად იმისა, ამ საქონელმა მაშინვე გადაკვეთა ქვეყნის საბაჟო საზღვარი, თუ იგი დროებით განთავსდა საბაჟო საწყობში.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისას რეკომენდებულია, საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აღირიცხოს ყველა საქონელი, რომელიც გადაკვეთს ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიას და ამის შედეგად იზრდება (იმპორტის შემთხვევაში) ან მცირდება (ექსპორტის შემთხვევაში) მოცემული ქვეყნის მატერიალური რესურსების მარაგები. საგარეო ვაჭრობაში საქართველო იყენებს აღრიცხვის „ზოგად მეთოდს“, რაც ნიშნავს, რომ საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ძირითადი კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის გადაკვეთა.

საგარეო ვაჭრობა და საგადასახდელო ბალანსის საქონლით ვაჭრობა განსხვავებული ცნებებია და ეყრდნობიან განსხვავებულ კონცეფციებს. თუ საგარეო ვაჭრობისათვის

განმსაზღვრელია საზღვრის გადაკვეთის პრინციპი, საგადასახდელო ბალანსის საქონლით ვაჭრობისათვის განმსაზღვრელი პრინციპია რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის საკუთრების უფლების ცვლილება. ამასთან არსებობს რიგი პოზიციებისა, რომელიც განეკუთვნება საგადასახდელო ბალანსის საქონლით ვაჭრობას და არ განეკუთვნება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას.

საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აღირიცხება შემდეგი კატეგორიის საქონელი:

- არამონეტარული ოქრო და ვერცხლი, რომლებიც არ იმყოფებიან ოფიციალურ მიმოქცევაში, როგორც გადახდის საშუალება;
- მიმოქცევაში არმყოფი ბანკნოტები, ფასიანი ქაღალდები და მონეტები, რომლებიც ითვლება საქონლად და არა ფინანსურ ინსტრუმენტებად;
- ბარტერული საქონელი;
- ჰუმანიტარული ტვირთები;
- სამხედრო დანიშნულების საქონელი - სამხედრო დანიშნულების საქონელი, რომლის რეალიზაცია ხდება სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე (სსვს 2010)[6]. ასეთი ტიპის საქონელთან დაკავშირებული საბაჟო დოკუმენტები, როგორც წესი, კონფიდენციალურია, თუმცა მიუხედავად ამისა, საქართველოში საბაჟო და სტატისტიკურ სამსახურებს შორის ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმება მოიცავს აღნიშნული კატეგორიის მონაცემებით სტატისტიკური ორგანოების უზრუნველყოფის პირობას, კონფიდენციალურობის სრული დაცვით. ამ შემთხვევაში, კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, სამხედრო დანიშნულების საქონლის მონაცემთა გამოქვეყნება ხორციელდება ნაერთი ინფორმაციის სახით დაფარული კოდით. ინფორმაციის გაშიფვრა არ წარმოებს ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნებისა და ნატურალური მოცულობის მითითებით.
- კონსიგნაციის[7] საფუძველზე გადაცემული საქონელი;

[6] საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის (სსვს) კონცეფციებისა და განსაზღვრებების 2010 წლის ვერსიის მიხედვით.

[7] საქონლის საზღვარგარეთ საკომისიო გაყიდვის ფორმა, რომლის დროსაც მისი პატრონი (კონსიგნანტი) უგზავნის იქ მყოფ კომისიონერს (კონსიგნატორს) საქონლის პარტიებს სარეალიზაციოდ.

- საქონელი, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის მატარებლის ან პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებად;
- გადამუშავებისთვის განკუთვნილი საქონელი - საქონელი, რომელიც იგზავნება საზღვარგარეთ გადამუშავების მიზნით და მოსალოდნელია, რომ ის დაბრუნებული იქნება ახალი საქონლის სახით. ასეთი საქონელი უნდა აღირიცხოს როგორც ექსპორტი მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება არ იყოს რეალიზებული არარეზიდენტზე. ასეთ შემთხვევაში უკან დაბრუნებული საქონელი აღირიცხება იმპორტში, მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება არ იყოს ნაყიდი არარეზიდენტისგან;
- საქონელი, რომელიც კვეთს საზღვარს სათაო კომპანიასა და პირდაპირი ინვესტირების საწარმოს შორის დადებული გარიგების საფუძველზე;
- დაბრუნებული საქონელი - (ამის მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ 2006 წელს რუსეთის მიერ საქართველოდან სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და სურსათის ექსპორტზე დაწესებული ემბარგო. რუსეთში ექსპორტირებული ქართული ღვინის დაბრუნება აისახა რუსეთიდან იმპორტის სახით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ასეთ შემთხვევებში სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებისას, სტატისტიკური სამსახურების მიერ აუცილებლად უნდა გაკეთდეს კომენტარი, რათა მომხმარებელი ინფორმირებული იყოს მსგავსი ფაქტის შესახებ, რომ არ მოხდეს მათი მხრიდან მონაცემების არასწორი ინტერპრეტაცია და მცდარი დასკვნების გაკეთება);
- ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი - ამ კატეგორიის საქონელი ქვეყნის საზღვარს კვეთს არა საბაჟოს გავლით, თუმცა აუცილებლად უნდა აღირიცხოს მისი ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები. ამისათვის წყაროდ გამოყენებული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოებიდან მიღებული ინფორმაცია;
- საფოსტო და საკურიერო სამსახურების საშუალებით გადაადგილებული საქონელი;
- მიგრანტების ქონება;
- ფინანსური ლიზინგის ქვეშ მყოფი საქონელი - არსებობს ლიზინგის ორი სახე: ფინანსური და საოპერაციო. საოპერაციო ლიზინგის აღრიცხვა არ ხორციელდება საგარეო

ვაჭრობის სტატისტიკაში. ხოლო საქონელი ითვლება ფინანსური ლიზინგის ქვეშ, როდესაც ამ საქონელზე საკუთრების უფლება, რისკები, სარგებელი და ვალდებულებები გადადის მეიჯარეზე და როცა ის ეკონომიკური თვალსაზრისით, განიხილება, როგორც ამ საქონლის ფაქტიური მესაკუთრე;

- ექსპლუატაციაში ნამყოფი (მეორადი მოხმარების) საქონელი - აღსანიშნავია, რომ ამ მიზნით საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურას, დაემატა რამდენიმე კოდი სწორედ მეორადი მოხმარების საქონლის აღრიცხვისათვის;
- ნარჩენები და ჯართი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც გარემოსთვის წარმოადგენენ საშიშ პროდუქტებს და აქვთ გარკვეული საბაზრო ღირებულება;
- და სხვა სახის საქონელი.

რაც შეეხება საქონლის იმ კატეგორიებს, რომლებიც არ ხვდებიან საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში:

- მონეტარული ოქრო;
- მიმოქცევაში მყოფი ბანკნოტები, ფასიანი ქაღალდები და მონეტები;
- დროებით შემოტანილი და გატანილი საქონელი;
- ტრანზიტული ტვირთები;
- საქონელი, გაგზავნილი ან მიღებული ტერიტორიული ანკლავებიდან ე.წ. დიპლომატიური ტვირთები;
- საქონელი, რომელიც განიხილება, როგორც მომსახურებით ვაჭრობა -

ა) ყველა კატეგორიის (მათ შორის მომუშავე არარეზიდენტების) ჩამოსული მგზავრის მიერ შეძენილ და საზღვარზე გადატანილ საქონელს, რომლებიც არ აღემატება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს;

ბ) გაზეთები და პერიოდული გამოცემები, რომლებიც იგზავნება პირდაპირი გამოწერის წესით;

გ) საქონელი მოწოდებული უცხოური სახელმწიფოების ანკლავების (საელჩოები, სამხედრო და სამეცნიერო ბაზები და ა.შ.) და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც განლაგებულია მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე, არ აისახება

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში იქიდან გამომდინარე, რომ საგადასახდელო ბალანსის შედგენის მეთოდოლოგიის თანახმად, ისინი მიეკუთვნებიან მომსახურების კატეგორიას;

დ) ინფორმაციის მატარებლები, რომლებზეც ჩაწერილია პროგრამული უზრუნველყოფა, შექმნილი ინდივიდუალური დაკვეთით;

- საქონელი, რომელიც გამოიყენება ტვირთების ტრანსპორტირების საშუალებად. ეს სასაქონლო კატეგორია მოიცავს ხომალდებს, საფრენ აპარატებს, კონტეინერებს და ასევე, ცარიელ ბოთლებს, რომლებიც უკან ბრუნდება მათი ხელახალი გამოყენებისათვის;
- სარემონტოდ განკუთვნილი და სხვა სახის საქონელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის 2010 წლის რეკომენდაციების თანახმად, ზოგიერთი კატეგორიის საქონელი, მიუხედავად იმისა ხვდება თუ არა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, ნებისმიერ შემთხვევაში ცალკე უნდა აღირიცხოს საგადასახდელო ბალანსისა (BPM6) და ეროვნული ანგარიშების (SNA-2008) წარმოების საჭიროებიდან გამომდინარე.

იმ საქონელთა ჯგუფს, რომელიც უნდა აისახოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში და ასევე, ცალკე აღირიცხოს, მიეკუთვნება:

- გადამუშავებისათვის განკუთვნილი საქონელი საკუთრების უფლების ცვლილების გარეშე;
- საქონელი, რომელიც გადაკვეთს საზღვარს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციების საფუძველზე.

იმ საქონელთა ჯგუფს, რომელიც არ უნდა აისახოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში და ცალკე აღირიცხოს, მიეკუთვნება:

- სარემონტოდ ან ტექნიკური მომსახურების მიზნით გადაადგილებული საქონელი. ასეთი სახის ოპერაციები მხოლოდ აღადგენენ ან აუმჯობესებენ არსებული საქონლის ხარისხს, მაგრამ არ იქმნება ახალი პროდუქტი;
- ნარჩენები და ჯართი - ასეთი სახის საქონელი არ უნდა აისახოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, თუ მათ არ აქვთ კომერციული ღირებულება, მაგრამ უნდა აღირიცხოს ცალკე შესაბამის რაოდენობრივ ერთეულებში;

- საქონელი, რომლის გადაადგილება საზღვარზე ხდება არალეგალურად (მაგალითად, კონტრაბანდული საქონელი, მოპარული სატრანსპორტო საშუალებები და ნარკოტიკული ტვირთი, რომელთა გამოყენება და შენახვა წარმოადგენს არალეგალურ საქმიანობას);
- საქონელი, რომელიც დაიკარგა ან განადგურდა იმპორტიორზე საკუთრების უფლების გადასვლის შემდეგ.

საგარეო სავაჭრო ურთიერთობების შესწავლისას სტატისტიკის ძირითადი ამოცანებია: ექსპორტ-იმპორტის შესახებ შესაბამისი უწყებებიდან სტატისტიკური მასალის მოპოვება და დამუშავება, ექსპორტისა და იმპორტის მოცულობის, სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა და ანალიზი საერთაშორისო მეთოდოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, სტატისტიკურ მონაცემთა საერთაშორისო ურთიერთშესადარისობის უზრუნველყოფა.

საქონელზე მფლობელობის შეცვლისას, ჩვეულებრივ ხდება ამ საქონლის მიერ საზღვრის გადაკვეთა. ამასთან, არ არის გამორიცხული შემთხვევებიც, როდესაც საქონელი, იცვლის რა მფლობელს, არ გადაკვეთს საზღვარს, ან გადაკვეთს საზღვარს, მაგრამ არ იცვლის მფლობელს.

საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის დასახასიათებლად გაიანგარიშება მაჩვენებელთა სისტემა, რომელშიც შედის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

1. **საქონლის ექსპორტი** - ქვეყნიდან სამამულო წარმოების, მოყვანილი საქონლის, ან მოპოვებული მადნეულის გატანა. სამამულო წარმოების საქონელს მიეკუთვნება ასევე ქვეყანაში შემოტანილი უცხოური წარმოშობის საქონელი, რომელიც იქნა არსებითად გადამუშავებული, რის შედეგად შეიცვალა მისი ძირითადი თვისობრივი ან ტექნიკური დახასიათებები. იგი მოიცავს რეექსპორტსაც;
2. **საქონლის რეექსპორტი** - საზღვარგარეთიდან ადრე იმპორტირებული საქონლის ექსპორტი მისი გადამუშავების გარეშე ან უმნიშვნელო გადამუშავების (დახარისხება, გასუფთავება, ხელახალი შეფუთვა და ა. შ.) შემდეგ;

3. **საქონლის იმპორტი** - საზღვარგარეთიდან უცხოური წარმოშობის საქონლის შემოტანა;

4. **საქონლის რეიმპორტი** - საზღვარგარეთ ადრე გატანილი ადგილობრივი წარმოების საქონლის უკან შემოტანა მისი გადამუშავების გარეშე ან უმნიშვნელო გადამუშავების შემდეგ. რეიმპორტს მიეკუთვნება, ასევე, საქონლის დაბრუნება.

5. **საგარეო ვაჭრობის სალდო** - სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის. ის შეიძლება იყოს აქტიური (+ ნიშნით), როცა ექსპორტი აჭარბებს იმპორტს და პასიური (- ნიშნით), როცა პირიქით იმპორტი აღემატება ექსპორტს. მას მეორენაირად წმინდა ექსპორტს უწოდებენ.

6. **საგარეო სავაჭრო ბრუნვა** - ის ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის ჯამის ტოლია.

მსოფლიო საგარეო ვაჭრობის პრაქტიკაში გავრცელებულია საკონტრაქტო ფასების დადგენა სხვადასხვა ბაზისზე. საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის დადებისას ყველა ქვეყნის კომერსანტი ხელმძღვანელობს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული საქონლის მიწოდების საბაზისო პირობებით, რომელიც ცნობილია „INCOTERMS“ (International Commercial Terms)-ის სახელწოდებით.

საბაზისო პირობებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია **FOB** (ექსპორტის დროს) და **CIF** (იმპორტის შემთხვევაში) პირობები. საქართველოშიც სწორედ აღნიშნული პირობები გამოიყენება ექსპორტ-იმპორტის შეფასების დროს.

ფასი, რომლითაც ხდება ექსპორტის შეფასება, მოიცავს შესაბამისი პროდუქციის ღირებულებას და ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვრამდე ტვირთის ტრანსპორტირებისა და სატრანსპორტო საშუალების ბორტზე მისი დატვირთვის ხარჯებს და ცნობილია **FOB** _ ფასის სახელწოდებით.

ექსპორტისა (FOB) და იმპორტის (CIF) ფასების სტრუქტურა

<table>
<tr><td>საქონლის ღირებულება</td><td>ტრანსპორტირების ხარჯები</td><td>ბორტზე საქონლის დატვირთვის ხარჯები</td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="3">FOB</td><td>საერთაშორისო ფრახტი</td><td>დაზღვევა</td></tr>
<tr><td colspan="5">CIF</td></tr>
</table>

საბაზრო ფასი, რომლითაც ფასდება იმპორტი გარდა **FOB** (**Free On Board**) – ფასისა, მოიცავს საერთაშორისო ფრახტს და დაზღვევის ხარჯებს და ცნობილია **CIF** (**Cost Insurance and Freight**) – ფასის სახელწოდებით.

პარტნიორი ქვეყნის დადგენის კრიტერიუმებია: იმპორტის დროს – საქონლის წარმოშობის ან გამომგზავნი ქვეყანა, ექსპორტის დროს – საბოლოო დანიშნულების ქვეყანა.

2.2. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში გამოყენებული ძირითადი კლასიფიკაციები და დაჯგუფებები

კლასიფიკატორები წარმოადგენს ამა თუ იმ ერთობლიობის ერთეულთა იერარქიულ წყობას. კლასიფიკაციების დანიშნულებაა შესასწავლი ერთობლიობა დაალაგოს ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით ერთგვაროვან ჯგუფებად, კლასებად ან სხვა დონეებად, რათა შემდეგ მის საფუძველზე მოხდეს სათანადო ინფორმაციული მასალის სისტემატიზაცია ანალიტიკური და სხვა მიზნებისათვის. საგარეო ვაჭრობის სასაქონლო ნაკადების სტრუქტურის ანალიზისთვის გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული სხვადასხვა კლასიფიკაციები, რომლებსაც აქვთ დეტალიზაციის სხვადასხვა დონე და აგებულია განსხვავებულ საკლასიფიკაციო კრიტერიუმებზე.

საგარეო ვაჭრობაში ყველაზე მრავალმხრივი გამოყენების კლასიფიკატორებს მიეკუთვნება სასაქონლო ნომენკლატურები, რომელთა დანიშნულებაა საქონლის დეტალური კლასიფიკაცია საბაჟო პროცედურების განხორციელებისა და სტატისტიკური მიზნებისათვის. 1987 წლამდე ევროპის ქვეყნები საქონლის აღწერისა და კოდირებისათვის გამოიყენებდნენ საერთაშორისო საბაჟო კავშირის კლასიფიკატორს, ანუ ე.წ. "ბრიუსელის ნომენკლატურას". 1988 წლის 1 იანვრიდან მოქმედებაში შევიდა საქონლის აღწერისა და კოდირების ე.წ. **ჰარმონიზებული სისტემა (HS)**, რომელიც შემუშავებულ იქნა საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ნომენკლატურისა (CCCN) და საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (SITC) ბაზაზე. იგი მოიცავს დაახლოებით 5 ათასამდე დასახელების სასაქონლო ჯგუფს. მას გააჩნია ოთხთანრიგიანი (პოზიცია) და ექვსთანრიგიანი (ქვეპოზიცია) კოდები, რომლებიც შესადარისია საერთაშორისო დონეზე. ასევე ეროვნულ დონეზე ხშირად ჩაშლილია 9 და 11 ნიშნა დონეზე, ქვეყნის ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით. ჰარმონიზებული სისტემის სტრუქტურაში გამოიყოფა: საქონლის კოდი, საქონლის აღწერა და დამატებით ზომის ერთეული. საქართველო, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისას, ამ ეტაპზე იყენებს HS 2012-2017 კომბინირებულ ვერსიას. თუმცა მიმდინარეობს HS 2017-ზე ეტაპობრივი გადასვლა.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა (HS 2012-2017 კომბინირებული)

სეს ესნ კოდი	პოზიციის დასახელება	დამატებითი ზომის ერთეული
0101	ცხენები, ვირები, ჯორები და ჯორცხენები ცოცხალი:	
	– ცხენები:	
0101 21 000 00	– – წმინდა ჯიშიანი სანაშენე ცხოველები	ცალი
0101 29	– – დანარჩენი:	
0101 29 100 00	– – – საკლავი	ცალი
0101 29 900 00	– – – დანარჩენი	ცალი
0101 30 000 00	– ვირები	ცალი
0101 90 000 00	– დანარჩენი	ცალი

სურ.2. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ნომენკლატურა (ამონარიდი).

ჰარმონიზებულმა სისტემამ დიდი გამოყენება ჰპოვა მთელს მსოფლიოში. მას დღეს 120-ზე მეტი ქვეყანა იყენებს. მის მოქმედებას სისტემატურად აკონტროლებს

საერთაშორისო საბაჟო კავშირის სპეციალური კომიტეტი. ჰარმონიზებული სისტემის ანალოგს ევროკავშირის ქვეყნებში წარმოადგენს **კომბინირებული ნომენკლატურა** (CN), რომელსაც საქონლის კოდსა და აღწერასთან ერთად თანდართული აქვს გადასახადის განაკვეთები.

საგარეო სავაჭრო ნაკადების რაოდენობრივი დახასიათების მიზნით, როგორც წესი, გამოიყენება ნატურალური ზომის ერთეულები, რომელიც ჩვეულებრივ, გამოსახულია კილოგრამებში. თუმცა, რიგ შემთხვევებში, საქონლის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭირო და აუცილებელია მისი რაოდენობის გაზომვა განსხვავებულ დამატებით ნატურალურ ერთეულებში, მაგ.: ცალებში, წყვილებში, ლიტრებში და ა.შ. ეს დამატებითი ზომის ერთეულები განსაზღვრულია სპეციალურ კლასიფიკატორში, რომელიც ცნობილია **დამატებითი ზომის ერთეულების კლასიფიკატორის** სახელწოდებით და გამოიყენება სასაქონლო ნომენკლატურებთან ერთად.

ჰარმონიზებულ სისტემაში მრავალრიცხოვანი ცვლილებების გამო, 2004 წელს, გაეროს სტატისტიკურმა კომისიამ მიიღო **საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (სვსკ-SITC)** (ცხრილი 1.) მეოთხე ვერსია, რომელიც შევიდა მოქმედებაში 2006 წელს. იგი მოიცავს საქონელთა გამსხვილებულ ჯგუფებს, რომელიც მოიცავს საქონლის წარმოებისას გამოყენებულ მასალებს, სამრეწველო გადამუშავების სტადიებს, ტექნოლოგიურ ცვლილებებს და სხვ. აღნიშნული კლასიფიკატორის ცალკეული განყოფილებების მოცვის სფერო იმდენად ერთგვაროვანია, რომ ამ დონეზე განზოგადებული მონაცემები ქრონოლოგიურ მწკრივებში უმეტესად ურთიერთშესადარისია.

ცხრილი N1. საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკატორი

კოდი	**სექციის დასახელება**
0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები
1	სასმელები და თამბაქო
2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა
3	მინერალური საწვავი, საცხები და მათთან დაკავშირებული მასალები

4	ცხოველური და მცენარეული ზეთები, ცხიმები და ცვილები
5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი
6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით
7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები
8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)
9	საქონელი, რომელიც სხვაგან არაა კლასიფიცირებული სვსკ-ში

სპეციფიკური ანალიტიკური მიზნებიდან გამომდინარე საერთაშორისო ვაჭრობის მონაცემების დაჯგუფებისათვის საქონლის გაფართოებული ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით, გაეროს სტატისტიკური განყოფილებამ შეიმუშავა **ფართო ეკონომიკური კატეგორიების კლასიფიკატორი (Broad Economic Categories – BEC)** (ცხრილი 2.). მისი დანიშნულებაა საგარეო ვაჭრობის მონაცემების გადაყვანა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სტრუქტურაში: კაპიტალური, შუალედური და სამომხმარებლო საქონელი.

ცხრილი N2. ფართო ეკონომიკური კატეგორიების კლასიფიკატორი

კოდი	**კატეგორიის დასახელება**
1	საკვები პროდუქტები და სასმელები
2	სამრეწველო მარაგები სხვა ადგილას დაუსახელებელი
3	საწვავი და საცხები მასალები
4	კაპიტალური საქონელი (გარდა სატრანსპორტო მოწყობილობებისა), მათი ნაწილები და საკუთნოები
5	სატრანსპორტო მოწყობილობები, მათი ნაწილები და საკუთნოები
6	სამომხმარებლო საქონელი სხვა ადგილას დაუსახელებელი
7	დანარჩენი საქონელი სხვა ადგილას დაუსახელებელი

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკაში სასაქონლო ნომენკლატურებთან ერთად აქტიურად გამოიყენება მსოფლიო ქვეყნების საერთაშორისო

კლასიფიკატორი, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაციის (International Standards Organization - ISO) სტანდარტს, კონკრეტულად ISO 3166-ს. ევროკავშირის ქვეყნები გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით საგარეო სავაჭრო ნაკადების კლასიფიცირების მიზნით გამოიყენებენ ე.წ. გეონომენკლატურას (**Geonomenclature - GEONOM**), რომელშიც ISO-ს მსგავსად, მოცემულია ქვეყნების რიცხვითი (3 ნიშნა) და ასოითი (ალფა-2 და ალფა-3) კოდები და შესაბამისი ქვეყნების დასახელება. საქართველოში დღეისათვის მოქმედებს „მსოფლიო ქვეყნებისა და ტერიტორიების კლასიფიკატორი“, რომელიც დამტკიცებულია საქსტატის საბჭოს მიერ და შემოღებულია სამოქმედოდ 2017 წლის პირველი იანვრიდან.

ქვეყნის შემოკლებული და სრული სახელწოდება	ალფა-2 კოდი	ალფა-3 კოდი	ციფრული კოდი
ავსტრალია **ავსტრალიის თანამეგობრობა**	AU	AUS	036
ავსტრია **ავსტრიის რესპუბლიკა**	AT	AUT	040
ავღანეთი **ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა**	AF	AFG	004
აზერბაიჯანი **აზერბაიჯანის რესპუბლიკა**	AZ	AZE	031

სურ.3. „მსოფლიო ქვეყნებისა და ტერიტორიების კლასიფიკატორი“, 2016.

საქართველოში დღეისათვის მოქმედებს აგრეთვე „ვალუტების კლასიფიკატორი“, რომელიც შემუშავებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ საერთაშორისო სტანდარტის ISO 4217 „კოდები ვალუტების და ფონდების წარსადგენად“ საფუძველზე. ამ კლასიფიკატორის გამოყენება ხდება ეკონომიკური ურთიერთობების წარმოების პროცესში, სავალუტო შემოსულობათა და გადასახდელების აღრიცხვისას, საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგებების წარმოებაში, საერთაშორისო ანგარიშსწორებებთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვის, სახელშეკრულებო და სხვა მიზნებისათვის. ვალუტების კლასიფიკატორის საკლასიფიკაციო ობიექტს წარმოადგენს მსოფლიო ქვეყნებისა და ტერიტორიების ფულადი ერთეულები,

შესაბამისად მსოფლიო ქვეყნების ვალუტები აღწერილია ორი სახის კოდით: სამნიშნა ასოითი კოდით და სამნიშნა ციფრული კოდით.

ვალუტის კოდი		ვალუტის დასახელება	ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება
ციფრული	ასოითი		
008	ALL	ლეკი	ალბანეთი
012	DZD	ალჟირული დინარი	ალჟირი
032	ARS	არგენტინული პესო	არგენტინა
036	AUD	ავსტრალიური დოლარი	ავსტრალია; კირიბატი; ნაურუ; ნორფოლკის კუნძული; ტუვალუ; ქოქოსის (კილინგის) კუნძულები; შობის კუნძული; ჰერდის კუნძული და მაკდონალდის კუნძულები

სურ.4. „ვალუტების კლასიფიკატორი“

საგარეო ვაჭრობაში გამოყენებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კლასიფიკატორია, აგრეთვე, ტრანსპორტის სახეების კლასიფიკატორი (ცხრილი 3.), რომლის საშუალებითაც ხდება საგარეო ვაჭრობის მონაცემთა შესწავლა ტრანსპორტის სახეობების მიხედვით და ამა თუ იმ ტრანსპორტის სახეობის მნიშვნელობის შეფასება საგარეო ვაჭრობის განვითარებაში.

ცხრილი N3. ტრანსპორტის სახეების კლასიფიკატორი

კოდი	ტრანსპორტი
1	**საჰაერო ტრანსპორტი**
2	**საზღვაო ტრანსპორტი**
2.1	წყლის ტრანსპორტი
2.2	შიდა წყლების ტრანსპორტი
3	**სახმელეთო ტრანსპორტი**
3.1	რკინიგზა
3.2	საავტომობილო ტრანსპორტი
4	**სხვაგან დაუსახელებელი**
4.1	მილსადენები და ელექტროგადამცემი ხაზები
4.1.1	მილსადენები
4.1.2	ელექტროგადამცემი ხაზები
4.2	საფოსტო გზავნილები, მეილი და კურიერის გადაზიდვები
4.3	თვითმავალი ტრანსპორტი

4.4	დანარჩენი ტრანსპორტი

გასული წლიდან საქართველო შეუერთდა იმ ქვეყნების სიას, რომელიც ახორციელებს საგარეო ვაჭრობის მონაცემების დამუშავებას და გავრცელებას ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. (ცხრილი 4.) ეკონომიკური საქმიანობის სახეები განსაზღვრულია საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორში „ეკონომიკური საქმიანობის სახეები“ (სეკ 006-2016), რომელიც ეფუძნება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების ევროპულ კლასიფიკატორს NACE Rev. 2 (Statistical classification of economic activities in the European Community). მასში გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნული ეკონომიკის თავისებურებანი. კლასიფიკატორის ევროპული ვერსია ადაპტირებულია გაეროს საქმიანობის სახეების კლასიფიკატორთან (ISIC).

ცხრილი N4.

სექციის კოდი	**სექციის დასახელება**
A	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა
B	სამთო-მოპოვებითი მრეწველობა
C	დამამუშავებელი მრეწველობა
D	ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება
E	წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები
F	მშენებლობა
G	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი
H	ტრანსპორტი და დასაწყობება
I	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები
J	ინფორმაცია და კომუნიკაცია
K	საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები
L	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები
M	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები
N	ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები
O	სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება

P	განათლება
Q	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები
R	ხელოვნება, გართობა და დასვენება
	დანარჩენი სექციები**

** სექცია T - შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის;

სექცია U - ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები;

სექცია S - სხვა სახის მომსახურება; არაიდენტიფიცირებული საქმიანობა.

მისი სტრუქტურა მნიშვნელოვნად იქნა დეტალიზებული ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკური საქმიანობების სახეების წარმოსაჩენად, რომლებიც არასაკმარისად იყო ასახული ძველ ვერსიაში. ამასთან ერთად გათვალისწინებული იქნა ეროვნული კლასიფიკატორების სპეციფიკური მახასიათებლები, რის გამოც კლასიფიკატორში შეყვანილი იქნა არა მარტო ის საქმიანობები, რომლებიც მნიშვნელოვანია ევროკავშირის ყველა ქვეყნისთვის, არამედ ისეთებიც, რომლებიც მნიშვნელოვანია ზოგიერთი ცალკეული ქვეყნისთვის, მაგრამ არცთუ ისე მნიშვნელოვანია სხვებისთვის. ამ გარემოებამ განაპირობა კლასიფიკატორის დაჯგუფებების მნიშვნელოვანი გაზრდა. წინამდებარე კლასიფიკატორის დანერგვა უზრუნველყოფს:

- ქვეყნის ეკონომიკაში სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარებას საწარმოების და ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით;
- ეროვნულ ანგარიშთა სისტემის პრინციპებზე აგებული მაკროეკონომიკური მოდელირების ამოცანების გადაჭრას;
- საწარმოების და ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო, ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის, ბიუჯეტის ფორმირების, შემოსავლების, მათი განაწილების, მოხმარების, კაპიტალის ფორმირების, საგარეო ეკონომიკური თანამშრომლობის დასახასიათებლად სამუშაოების ჩატარებას;
- საქართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთიან სახელმწიფო რეგისტრში საწარმოების და ორგანიზაციების რეგისტრაციას ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით;

- ერთიანი სტატისტიკური ტერმინოლოგიის გამოყენებას ევროკავშირში მიღებული სტატისტიკური ერთეულების განსაზღვრის მიზნით;
- ეროვნული სტატისტიკური ინფორმაციის შესადარისობას საერთაშორისო დონეზე და სხვ.

ეს კლასიფიკატორი აგრეთვე გამოიყენება სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, სერტიფიცირების, საწარმოო-საფინანსო, საბანკო, საბაჟო-სატარიფო და სხვა სამსახურების საქმიანობაში.

აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშებისათვის აუცილებელია კავშირის დამყარება ბიზნეს რეგისტრსა და საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზებს შორის. სწორედ სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრიდან ვიღებთ ინფორმაციას საგარეო ვაჭრობაში მონაწილე სუბიექტების შესახებ. ზემოთთქმული წარმოადგენს გაეროს ერთ-ერთ რეკომენდაციას. ეკონომიკური საქმიანობების გარდა, მოვაჭრე სუბიექტებზე ასევე ვიღებთ ინფორმაციას მათი ზომების შესახებ, რის შემდეგაც ხდება მონაცემთა გავრცელება საგარეო ვაჭრობაში მონაწილე სუბიექტების ზომების მიხედვით.

ცხრილი N5.

საგარეო ვაჭრობაში მონაწილე სუბიექტების ზომა განისაზღვრება შემდეგი მეთოდოლოგიით:

მსხვილი	ყველა ორგანიზაციულ- სამართლებრივი ფორმის საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ ლარს.
საშუალო	ყველა ორგანიზაციულ- სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50- დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე.
მცირე	ყველა ორგანიზაციულ- სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ ლარს.
ზომა უცნობია	მოცემულ ეტაპზე სუბიექტის ზომა განსაზღვრული არ არის.

სტატისტიკურ კლასიფიკაციებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების განვითარებისა და გაღრმავების ფონზე სტატისტიკური ინფორმაციის საერთაშორისო დონეზე შესადარისობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, კლასიფიკატორების მოქმედებას საფუძვლად უდევს:

- ქვეყნებს შორის შეთანხმებული საერთო მეთოდოლოგიური პრინციპები;
- უნიფიკაცია და ჰარმონიზაცია;
- პერიოდული გადასინჯვის აუცილებლობა.

2.3. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება საქართველოში

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება საქართველოში ხორციელდება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ გაეროს სტატისტიკის ბიუროს მიერ შემუშავებული საერთაშორისო მეთოდოლოგიის საფუძველზე. სტატისტიკური მონაცემების დამუშავება უშუალოდ ხორციელდება საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სამმართველოში.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისას ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემები (ინფორმაცია არ მოიცავს გამარტივებული საბაჟო დეკლარაციების (ფორმა N4) მონაცემებს). ამასთან, 2010 წლიდან დამატებით წყაროს წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალებებით ვაჭრობის შესახებ.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ინფორმაცია მიიღება ისეთი საქონლის ექსპორტ-იმპორტის შესახებ, რომელიც არ ექვემდებარება საბაჟო კონტროლს. ესენია: ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი. ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტის შესახებ მონაცემები მიიღება სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-დან და სს

„ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“-დან, ხოლო ბუნებრივი აირის ექსპორტ-იმპორტის შესახებ მონაცემები მიიღება - შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“-დან. ამასთან 2010 წლიდან, დამატებითი ინფორმაცია მიიღება სატრანსპორტო საშუალებებით ვაჭრობის შესახებ შსს-ის მომსახურების სააგენტოდან.

სტატისტიკის ეროვნული სამსახური ზემოთაღნიშნული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს:

- სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზის კონტროლს ძირითადი ინფორმაციული ველების მიხედვით - საქონლის კოდი, ფასი, წონა, დამატებითი ზომის ერთეული, გამგზავნი/მიმღები ქვეყნის კოდი;

- ძირითადი საქონლის მიხედვით ზღვრული ფასის კონტროლს და შესაბამისად, რაოდენობის, ღირებულების ან დამატებითი ზომის ერთეულის კორექტირებას;

- იმ საქონლის გამორიცხვას შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზიდან, რომელიც არ განეკუთვნება საქონლით საგარეო ვაჭრობას (მიმოქცევაში მყოფი ფასიანი ქაღალდები, ბანკნოტები და მონეტები; დროებით შემოტანილი და გატანილი საქონელი; დიპლომატიური და სხვა სახის ტვირთები, რომლებიც საერთაშორისო მეთოდოლოგიის მიხედვით არ შედის საქონლით საგარეო ვაჭრობაში).

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის დინამიკური მწკრივები ხელმისაწვდომია 1995 წლიდან ქვეყნებისა და საქონლის ჭრილში. ღირებულებითი მაჩვენებლები მოცემულია აშშ დოლარებში. სტატისტიკური ღირებულების გაანგარიშება აშშ დოლარებში ხორციელდება საბაჟო ორგანოების მიერ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების გაფორმების მომენტში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

მონაცემები მუშავდება და ქვეყნდება ყოველთვიური პერიოდულობით. 2012 წლიდან საქსტატი ახორციელებს ექსპრეს ინფორმაციის გავრცელებას საანგარიშო თვის დასრულებიდან მე-13 დღეს, რომელიც მოიცავს ექსპორტის, იმპორტის, საგარეო სავაჭრო ბრუნვისა და სავაჭრო ბალანსის აგრეგირებულ მონაცემებს. რაც შეეხება დეტალურ

ინფორმაციას ქვეყნებისა და საქონლის ჭრილში, ქვეყნდება საანგარიშო თვის დასრულებიდან მე-19 დღეს.

თავი 3. ევროკავშირში განხორციელებული საქონლის ექსპორტის ძირითადი ტენდენციების სტატისტიკური ანალიზი

3.1. საქართველოს ექსპორტის ძირითადი ტენდენციები და სტრუქტურა

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო აქტიური სწრაფვა მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ჩასართავად, 2000 წელს შეუერთდა მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციას და გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები სავაჭრო პოლიტიკის განვითარების თვალსაზრისით. მოახდინა ვაჭრობის ლიბერალიზაცია დაბალი საიმპორტო ტარიფების დაწესების და მათი რაოდენობის შემცირების, კვოტების, ზოგიერთი ლიცენზიის გაუქმების გზით. საქართველოს ეკონომიკისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა პრეფერენციული და თავისუფალი სავაჭრო რეჟიმების განვითარება.

იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას თანამედროვე პერიოდში საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ, აუცილებელია მოვახდინოთ საგარეო ვაჭრობის მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი. საწყის ეტაპზე ანალიზს დავიწყებ მოკლე მიმოხილვით ზოგადად საქართველოს საქონლით საგარეო ვაჭრობის შესახებ და განვიხილავ მისი ექსპორტის სტრუქტურას, ხოლო შემდგომ გადავალ უშუალოდ ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების საკითხებზე. საქართველოს აქტიური საგარეო სავაჭრო პოლიტიკის წყალობით ბოლო წლების განმავლობაში, მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები შეიმჩნევა, რაც შესაბამის სტატისტიკაზეც სათანადოდ აისახება. თუ დავაკვირდებით საგარეო ვაჭრობის დინამიკას 2000 წლიდან ზრდადი ტენდენციით ხასიათდება როგორც ექსპორტი, ასევე იმპორტიც,

რაც გამოწვეულია როგორც უკვე აღვნიშნეთ ქვეყნის მისწრაფებით, რაც შეიძლება უკეთ შეაღწიოს ქვეყანამ საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში და განავითაროს მისი სავაჭრო-საგარეო ურთიერთობები პარტნიორ ქვეყნებთან.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2000-2018 წლებში (მლნ აშშ დოლარი)

დიაგრამა N1



* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი

2000-2018 წლებში საქართველოს მთლიანმა ექსპორტმა შეადგინა 30.1 მლრდ. აშშ დოლარი, ხოლო მთლიანმა იმპორტმა - 96.0 მლრდ. აშშ დოლარი, შესაბამისად მთლიანი სავაჭრო ბრუნვა შეადგენდა 126 მლრდ. აშშ დოლარს, რომელიც საშუალოდ წლიურად 14.8%-ით იზრდებოდა. რა თქმა უნდა სავაჭრო ბრუნვის ზრდა, პირველ რიგში ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო ვაჭრობის პროცესებში, თუმცა ქვეყნისთვის უკეთესია თუ მისი საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდა გამოწვეულია ექსპორტის ზრდით. საქართველოს შემთხვევაში ეს ასე არ არის, რადგან სავაჭრო ბრუნვის ზრდაზე უფრო მოქმედებს იმპორტის მოცულობის ზრდა, რომელიც საშუალოდ წლიურად 15.2%-ით იზრდება, ხოლო ექსპორტის მოცულობა საშუალო წლიური მატება 13.8%-ს შეადგენს. 2000 წლიდან მოყოლებული 2009 წლის გარდა, როდესაც მთლიანი ექსპორტი გასულ წელთან შედარებით შემცირდა 24.2%-ით (361.7 მლნ აშშ დოლარით), ექსპორტის

მოცულობა არ შემცირებულა 2014 წლამდე, რომელსაც შემდგომ 2015-2016 წლებშიც ჰქონდა ანალოგიურად კლების ტენდენცია. ექსპორტის ყველაზე მეტად წინა წელთან შედარებით შემცირდა 2009 და 2015 წლებში. 2009 წელს 24.2%-ით შემცირდა, რაც 0.4 მლრდ აშშ დოლარის ტოლია, რაც დაკავშირებული იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შორის კონფლიქტთან, ხოლო მაქსიმალური კლება 2015 წელს დაფიქსირდა, როცა 0.7 მლრდ. აშშ დოლარით შემცირდა ექსპორტის მოცულობა, რაც წინა წელთან შედარებით 22.9%-ით ნაკლებია. 2015 წელს ექსპორტის ყველაზე დიდი პროცენტული კლება დაფიქსირდა ქვეყნის ისეთ ძირითად საექსპორტო საქონელზე როგორიცაა, მსუბუქი ავტომობილები (-65.3%), ფეროშენადნობები (-31.8%) და ღვინო (-46.9%). ძირითადი კლება მაინც გამოიწვია მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა, რომელიც 2014 წელთან შედარებით 65.3%-ით შემცირდა, რაც ღირებულებით მაჩვენებელში 0.66 მლრდ აშშ დოლარის ტოლია. მსუბუქი ავტომობილების ძირითადი იმპორტიორი ქვეყანა აზერბაიჯანია, რომელიც 2014 წლის აპრილში გადავიდა ევრო 4-ის ეკოლოგიურ სტანდარტზე, რაც ითვალისწინებს ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვების შემცირებას და ზღუდავს გარკვეული ტიპის ავტომობილების გამოყენებას. შესაბამისად, საფუძვლიანია იმის მტკიცება, რომ სწორედ ევრო 4-ის ეკოლოგიურ სტანდარტზე გადასვლა გახდა აზერბაიჯანში საქართველოდან ექსპორტირებული მსუბუქი ავტომობილების შემცირების მიზეზი.

თუ ექსპორტის ზრდის ტენდენციებს შევხედავთ, შეგვიძლია დავინახოთ პოზიტიური სურათიც, კერძოდ 2017 წელს 2016 წელთან შედარებით, იმის ფონზე, რომ წინა სამი წლის პერიოდში იკლებდა ექსპორტი, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა და სწორედ 2017 წელს იყო ყველაზე მაღალი აბსოლუტური მატება წინა წელთან შედარებით - 622.6 მლნ აშშ დოლარი, რაც 29.5%-ის ტოლია. ანალოგიური ზრდის ტენდენცია იყო 2018 წელსაც და წინა წელთან შედარებით 619.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რაც პროცენტებში 22.6%-ს შეადგენს.

ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გასაანალიზებლად და არსებული ტენდენციების შესაფასებლად მრავალი მაჩვენებელი გამოიყენება, რომლებიც ამავე დროს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაციის ხარისხის

(ეკონომიკის გახსნილობის) რაოდენობრივ ინდიკატორებს წარმოადგენენ. ეკონომიკური გახსნილობის მაჩვენებლებს მიეკუთვნება ექსპორტისა პროცენტული წილი მშპ-ში ანუ ექსპორტის ქვოტა. თუ შევხედავთ აღნიშნულ ინდექსს, შევამჩნევთ რომ იგი თანაბრად მიყვება როგორც ექსპორტის, ასევე მშპ-ს დინამიკას და ზრდადი ტენდენციით ხასიათდება.

ექსპორტის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (%) დიაგრამა N2



* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი

ეკონომიკის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი ჩაითვალოს მისაღებად, თუ ეს ინდექსი ტოლია 10%-ის. 2000-2018 წლებში ექსპორტის წილი ყველაზე დაბალი 2002 წელს დაფიქსირდა როცა 9.8% შეადგინა. 2018 წელს ექსპორტის წილმა მშპ-ში შეადგინა 20.7%, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 2.6 პუნქტით არის გაზრდილი. მაშასადამე საქართველოს ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი მისაღებ დონეს 10.7%-ით აჭარბებს. ექსპორტის მაღალი ქვოტა საგარეო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ეროვნული საქონლის გაჯერებულობას ნიშნავს. ზემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბოლო წლებში ქართული წარმოების საქონელი საერთაშორისო ბაზრებზე პოზიციებს იმყარებს და კონკურენტუნარიანი ხდება.

ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში (%) დიაგრამა N3



* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი

საგარეო ვაჭრობის ანალიზისას ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ რა წილი უკავია ექსპორტს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო 2006-2009 წლებში, როცა ექსპორტის წილი ბრუნვაში 19-20%-ის ტოლი იყო. 2012 და 2016 წლებს თუ არ ჩავთვლით, შედარებით ზრდადი ტენდენცია შეინიშნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ექსპორტი უფრო მნიშვნელოვანი ხდება საქართველოს საგარეო ვაჭრობაში, რასაც ხელი შეუწყო მთავრობის მიერ გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა (მაგ.: პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, პარტნიორ ქვეყნებთან თავისუფალი სავაჭრო სისტემები, სოფლის მეურნეობის სტიმულირების პროგრამები და ა.შ.). 2018 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტმა 26.9% შეადგინა, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 1.3 პუნქტით აღემატება.

ექსპორტის სტრუქტურის შეფასებისა და ანალიზის დროს, მნიშვნელოვანია რეექსპორტის ფაქტორის შესწავლაც, რადგან ბევრი განვითარებადი ქვეყნების ექსპორტში საკმაო წილი უჭირავს სწორედ აღნიშნულ მაჩვენებელს. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება საქართველოც. თუ შევხედავთ ექსპორტის დინამიკას ადგილობრივი



ექსპორტისა (Domestic Export) და რეექსპორტის (Reexport) ჭრილში, რეექსპორტის წილი 2004 წლიდან უკვე შესამჩნევად იწყებს ზრდას, თუმცა გამომდინარე იქიდან რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოს არ ჰქონია აქტიური ვაჭრობა და ექსპორტიც არ იყო დიდი მოცულობით, ეს ზრდა შედარებით უმნიშვნელოა. რეექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა იწყება 2010 წლიდან, როდესაც მსუბუქი ავტომობილებისა და სამკურნალო საშუალებების რეექსპორტი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 3-ჯერ. 2009 წელს მთლიან ექსპორტში რეექსპორტის წილი იყო 12.7%, ანალოგიურმა მაჩვენებელმა 2010 წელს შეადგინა 20.6%. რეექსპორტის მოცულობის ზრდა გრძელდებოდა 2013 წლამდე, როდესაც დაფიქსირდა რეექსპორტის მაქსიმალური მოცულობა 1.14 მლრდ. აშშ დოლარი, რამაც მთლიან ექსპორტში 39.4%-იანი წილი დაიკავა. 2014-2016 წლებში რეექსპორტის მოცულობაც და წილიც მთლიან ექსპორტში იკლებს, ხოლო 2017-2018 წლებში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. 2018 წელს რეექსპორტის მოცულობამ შეადგინა 1.13 მლრდ. აშშ დოლარი, რომელიც 55.7%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და მთლიან ექსპორტის

33.7% შეადგინა. რეექსპორტზე ძირითადად გადის მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, სამკურნალო საშუალებები და სპირტიანი სასმელები.

საქონლით საგარეო ვაჭრობის ზოგადი ანალიზის დროს ასევე მნიშვნელოვანია სავაჭრო ბალანსის (სალდოს) შესწავლაც. ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ როგორი კურსი აქვს ქვეყანას მის საგარეო-სავაჭრო პოლიტიკაში, რამდენად ჭარბობს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი იმპორტირებულს, ან პირიქით. საქართველოს შემთხვევაში, სავაჭრო ბალანსი სამწუხაროდ უარყოფითია, გამომდინარე იქიდან, რომ ექსპორტი ბევრად ჩამორჩება იმპორტს. თუმცა აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო ექვსი წელია შედარებით დასტაბილურდა მისი ტენდენცია. 2018 წელს უარყოფითმა ბალანსმა მაქსიმალურ დონეს მიაღწია და 5.77 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. სავაჭრო ბალანსთან დაკავშირებით არსებობს კიდევ ერთი მაჩვენებელი, რომელსაც ნორმალიზებულ საგარეო სავაჭრო ბალანსს უწოდებენ და გამოითვლება შემდეგნაირად:

$$\textit{ნორმალიზებული საგარეო სავაჭრო ბალანსი} = \frac{\text{ექსპორტი} - \text{იმპორტი}}{\text{ექსპორტი} + \text{იმპორტი}} \text{ x } 100$$

ნორმალიზებული საგარეო სავაჭრო ბალანსი დიაგრამა N5



* წინასწარი მონაცემები

ნორმალიზებული საგარეო სავაჭრო ბალანსი გვიჩვენებს წმინდა ექსპორტის (სავაჭრო ბალანსის) წილს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში. აღნიშნული მაჩვენებელი, ყველაზე დაბალი იყო 2006-2009 წლებში, როდესაც 59-60%-ის ფარგლებში იცვლებოდა. 2006 წლიდან

მოყოლებული, თუ არ ჩავთვლით 2013 წელს, 2017 წლამდე -50%-იან ნიშნულამდე არ ჩამოსულა. შედარებით პოზიტიურია სურათი 2017-2018 წლებში, რადგან უარყოფითი ნორმალიზებული სავაჭრო ბალანსი იკლებს, 2017 წელს -49% შეადგინა, ხოლო 2018 წელს იგი კიდევ 3 პუნქტით შემცირდა და -46%-ს უდრის.

და ბოლოს ზოგად ანალიზს დავასრულებ საგარეო ვაჭრობის გახსნილობის უფრო კომპლექსური მაჩვენებლით, რომელსაც ეწოდება საგარეო ვაჭრობის ქვოტა და გამოითლება შემდეგნაირად:

$$\textit{საგარეო ვაჭრობის ქვოტა} = \frac{\text{საგარეო სავაჭრო ბრუნვა}}{\text{მშპ}} \text{ x } 100$$

საგარეო ვაჭრობის ქვოტა დიაგრამა N6



* წინასწარი მონაცემები

2000 წლიდან მოყოლებული საგარეო ვაჭრობის ქვოტა ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, გარდა 2009 წლისა, როდესაც მკვეთრად შემცირდა ეს მაჩვენებელი და 52.1% შეადგინა, გამომდინარე იქიდან რომ 2009 წელს შემცირდა როგორც საგარეო სავაჭრო ბრუნვა, ასევე შემცირდა მშპ-ც. ამ ყველაფრის მიზეზი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი გახლდათ. საგარეო ვაჭრობის ქვოტამ მის ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და 77.0% შეადგინა.

თუმცა, ამ მაჩვენებელს გარკვეული ნაკლოვანებები გააჩნია. მხოლოდ აღნიშნულ მაჩვენებელზე დაყრდნობა ვერ მოგვცემს სრულ ინფორმაციას საგარეო ვაჭრობის

გახსნილობაზე, რადგან აღნიშნული სფეროს კვლევისას გასათვალისწინებელია და საჭიროა გაანალიზდეს მთელი რიგი ფაქტორები, მათ შორის საიმპორტო და საექსპორტო ტარიფები, არასავაჭრო ბარიერები, სავალუტო პოლიტიკა, ადგილობრივი გადასახადები და სუბსიდიები, განათლებისა და ეკონომიკური პოლიტიკა და სხვა. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ემპირიული კვლევების უმრავლესობა ეკონომიკის გახსნილობის ძირითად მახასიათებლად იყენებს ვაჭრობის მოცულობის შეფარდებას მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ). თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებობს მოსაზრება, რომ მხოლოდ ვაჭრობის (ექსპორტი + იმპორტი) მოცულობის პროპორცია მშპ-თან სრულად ვერ ასახავს ეკონომიკურ ზრდაზე ვაჭრობის გავლენის დინამიკას, მაგრამ მკვლევარები უპირატესობას მაინც ამ მაჩვენებელს ანიჭებენ.

ზოგადი მაჩვენებლების დინამიკის და ტენდენციების კვლევა არ არის საკმარისი, ქვეყნის მთლიანი საექსპორტო პოტენციალის სურათის დასახასიათებლად. აუცილებელია განვიხილოთ მისი სასაქონლო სტრუქტურა და გეოგრაფია. მარტივია თუ ანალიზს დავიწყებთ საქონლის ისეთი ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით, როგორიცაა: სამომხმარებლო, შუალედური და კაპიტალური საქონელი. როგორც უკვე აღვნიშნე, ეს ანალიზი ეყრდნობა ფართო ეკონომიკური კატეგორიების კლასიფიკატორის (BEC)[8] გამოყენებას და წარმოადგენს ერთგვარ შერწყმას ეროვნულ ანგარიშებსა და საგარეო ვაჭრობის მიმართულებას შორის. აღნიშნული ანალიზის გაკეთების საშუალება გვაქვს მხოლოდ 2005 წლიდან, საგარეო ვაჭრობის კლასიფიკატორებიდან და მასში მიმდინარე ცვლილებებიდან გამომდინარე.

[8] Board Economic Categories (Rev. 4)

ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა დიაგრამა N7



* წინასწარი მონაცემები

როგორც სხვა ბევრ საშუალო შემოსავლიან განვითარებად ქვეყნებში, საქართველოს ექსპორტშიც კაპიტალური საქონლის წილი ძალიან დაბალია და შესაბამისად მაღალია სამომხმარებლო და შუალედური საქონლის ექსპორტი. კაპიტალური საქონლის წილი მთლიან ექსპორტში 2005-2018 წლებში საშუალოდ 5.1%-ის ტოლი იყო, 2018 წელს კი 4.0%-ს შეადგენს. კაპიტალური საქონლის ექსპორტის მაღალი წილი ქვეყნის განვითარების მაღალ დონეს და ეკონომიკურ სიმდიდრეს უსმევს ხაზს. ქვეყნისთვის არც თუ ისე სახარბიელოა როცა იზრდება სამომხმარებლო საქონლის ექსპორტი, გამომდინარე იქიდან რომ, ფაქტიურად ქვეყანა ვაჭრობს საბოლოო მოხმარების პროდუქტით და მის საქონელს არ შეუძლია რაიმე დამატებითი ღირებულება შექმნას. ასეთ საქონელს ძირითადად საკვებ-სასმელი პროდუქტები მიეკუთვნება. საინტერესო დამოკიდებულება იყო სამომხმარებლო და შუალედურ საქონლის წილებს შორის. თუ დავაკვირდებით გრაფიკს N7, ვნახავთ, რომ კაპიტალური საქონლის შედარებით უცვლელობის პირობებში, 2005-2008 წლებში გაიზარდა შუალედური საქონლის ექსპორტის წილი და შემცირდა სამომხმარებლო საქონლის წილი, 2008 წლიდან მოყოლებული 2012 წლამდე კი საპირისპირო ზრდისა და კლების ტენდენცია შეინიშნება. თუ 2005-2011 წლებში შუალედური საქონლის ექსპორტი

ჭარბობდა (საშუალოდ 57% მთლიან ექსპორტში) სამომხმარებლო საქონლისას (საშუალოდ 36%), 2012 წელს ეს სტრუქტურა შეიცვალა და ამჯერად პირიქით, სამომხმარებლო საქონლის ექსპორტმა გადააჭარბა შუალედური საქონლის ექსპორტს. ასე გრძელდებოდა 2013-2014 წლებშიც. 2015 წლიდან კი ისევ ძველ სურათს დაუბრუნდა, შუალედური საქონლის ექსპორტის რგოლი უფრო გააქტიურდა და 2018 წელს 48.5% შეადგინა მთელი ექსპორტის, ხოლო სამომხმარებლო საქონლის წილი 47.2%-ია.

ახლა კი გადავიდეთ უშუალოდ საქართველოს ძირითად საექსპორტო სასაქონლო პოზიციებზე. 2000-2018 წლებში განხორციელებული ექსპორტის სასაქონლო ჭრილში თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად განვიხილოთ ხუთ-ხუთ წლიანი დინამიკური მწკრივები ცალ-ცალკე, ღირებულების მიხედვით დალაგებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები.

ცხრილი N6

უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციები 2000-2004 წლებში

მლნ. აშშ დოლარი

	2000	2001	2002	2003	2004
ექსპორტი - სულ	**323.9**	**317.2**	**345.7**	**461.3**	**646.9**
მათ შორის:					
7204 - შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი	39.0	33.1	36.5	60.1	95.9
8802 - სხვადასხვა საფრენი აპარატები	7.1	35.7	41.1	28.1	84.0
2204 - ყურძნის ნატურალური ღვინოები	29.0	32.3	33.2	42.6	48.7
7202 - ფეროშენადნობები	13.6	17.6	15.5	26.1	42.5
2603 - სპილენძის მადნები და კონცენტრატები	9.8	9.6	13.2	23.4	31.8
1701 - შაქარი	2.7	3.0	13.6	34.0	34.3
3102 - აზოტოვანი მინერალური ან ქიმიური სასუქები	16.2	4.9	12.0	18.4	28.8
7108 - ოქრო	-	12.5	28.6	20.3	18.8
2201 - მინერალური და მტკნარი წყლები	9.4	11.7	17.3	19.7	19.3
0802 - თხილი და კაკალი	19.3	9.8	6.8	12.6	17.7
დანარჩენი საქონელი	177.7	147.0	128.1	176.0	225.0

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2000 წლიდან დაწყებული ყველა სასაქონლო პოზიცია წლიდან წლამდე ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. ძირითად საექსპორტო პროდუქტს წარმოადგენს შავი ლითონები და ღვინო.

ცხრილი N7

უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციები 2005-2009 წლებში

მლნ. აშშ დოლარი

	2005	2006	2007	2008	2009
ექსპორტი - სულ	**865.5**	**936.4**	**1,232.1**	**1,495.3**	**1,133.6**
მათ შორის:					
7202 - ფეროშენადნობები	80.2	89.8	159.6	267.2	130.1
7204 - შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი	84.2	72.4	96.9	128.5	63.6
2603 - სპილენძის მადნები და კონცენტრატები	36.4	79.5	79.2	118.3	61.9
7108 - ოქრო	34.7	49.4	69.4	100.1	116.2
8703 - მსუბუქი ავტომობილები	17.9	50.5	70.2	113.3	78.5
3102 - აზოტოვანი მინერალური ან ქიმიური სასუქები	35.8	46.6	57.0	105.5	60.2
0802 - თხილი და კაკალი	70.3	56.6	65.1	31.7	70.0
2208 - სპირტიანი სასმელები, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები	29.2	30.1	57.4	59.0	54.0
2204 - ყურძნის ნატურალური ღვინოები	81.3	41.1	29.2	36.9	32.0
2523 - ცემენტი	17.7	28.8	64.0	80.1	22.4
დანარჩენი საქონელი	377.6	391.7	484.1	454.7	444.8

2005-2009 წლებში, ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. აღნიშნულ პერიოდში, 2000-2004 წლებთან შედარებით, საფრენი აპარატები, შაქარი და მინერალური და მტკნარი წყლები ჩაანაცვლა მსუბუქმა ავტომობილების, სპირტიანი სასმელებია და ცემენტის ექსპორტმა. მსუბუქი ავტომობილები ძირითადად აზერბაიჯანში, სომხეთსა და თურქეთში გადიოდა. სპირტიანი სასმელების ბაზარი ძირითადად დსთ-ის ქვეყნებია, როგორიცაა უკრაინა, რუსეთი და ყაზახეთი. რაც შეეხება ცემენტს, იგი ძირითადად აზერბაიჯანსა და ყაზახეთში გადიოდა.

ცხრილი N8

უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციები 2010-2014 წლებში

მლნ. აშშ დოლარი

	2010	2011	2012	2013	2014
ექსპორტი - სულ	**1,677.3**	**2,186.4**	**2,376.6**	**2,910.3**	**2,861.0**
მათ შორის:					
8703 - მსუბუქი ავტომობილები	227.4	450.3	587.3	703.8	517.8
7202 - ფეროშენადნობები	264.0	253.6	260.6	230.7	285.8
0802 - თხილი და კაკალი	75.1	130.2	83.7	166.7	183.4
3102 - აზოტოვანი მინერალური ან ქიმიური სასუქები	84.2	144.1	137.2	130.6	137.6
2603 - სპილენძის მადნები და კონცენტრატები	74.5	85.1	53.5	161.6	248.0
2204 - ყურძნის ნატურალური ღვინოები	41.1	54.1	64.8	128.3	180.4
7108 - ოქრო	117.6	109.9	91.9	73.3	39.3
2208 - სპირტიანი სასმელები, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები	55.7	67.9	80.0	99.8	95.3
2201 - მინერალური და მტკნარი წყლები	36.9	47.6	59.4	106.9	137.1
7204 - შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი	109.4	116.8	43.9	6.8	2.7
დანარჩენი საქონელი	591.4	726.9	914.3	1,101.7	1,033.5

თუ შევხედავთ 2010-2014 წლის დინამიკას, 2005-2009 წლებთან შედარებით, სტრუქტურა საერთოდ არ შეცვლილა. მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება სპილენძის მადნებსა და კონცენტრატების და ღვინის ექსპორტში, ხოლო კლების ტენდენცია შეინიშნება შავი ლითონების ნარჩენებსა და ჯართის ექსპორტში. 2010 წელს თუ არ ჩავთლით, ყოველ წელს ლიდერ პოზიციას ინარჩუნებს, მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი.

ცხრილი N9

უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციები 2015-2018 წლებში

მლნ. აშშ დოლარი

	2015	2016	2017	2018*
ექსპორტი - სულ	**2,204.7**	**2,112.9**	**2,735.5**	**3,354.5**
მათ შორის:				
2603 - სპილენძის მადნები და კონცენტრატები	270.6	312.3	422.5	504.1
7202 - ფეროშენადნობები	194.8	169.3	306.4	352.6
8703 - მსუბუქი ავტომობილები	179.6	166.6	234.7	408.3
2204 - ყურძნის ნატურალური ღვინოები	95.8	113.5	171.4	196.9
3004 - დაფასოებული სამკურნალო საშუალებები	141.5	107.4	140.6	147.2
0802 - თხილი და კაკალი	176.6	179.7	83.2	69.7
2208 - სპირტიანი სასმელები, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები	64.9	91.9	126.7	129.1
2201 - მინერალური და მტკნარი წყლები	82.2	79.8	95.8	110.2
3102 - აზოტოვანი მინერალური ან ქიმიური სასუქები	109.8	65.6	76.4	92.0
7108 - ოქრო	62.1	81.1	70.8	69.8
დანარჩენი საქონელი	826.72	745.51	1,007.20	1,274.63

* წინასწარი მონაცემები

2015 წელს მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის შემცირების გამო, რომელიც გამოწვეული იყო, როგორც უკვე აღვნიშნე აზერბაიჯანში ევრო 4-ის სტანდარტის შემოღებით, და იმის ფონზე რომ საკმაოდ გააქტიურდა სპილენძის მადნებითა და კონცენტრატებით ვაჭრობა, მისი ექსპორტი 2016 წლიდან პირველ ადგილს იკავებს.

ძირითადი სასაქონლო პოზიციების განხილვის შემდეგ, სანამ უშუალოდ პარტნიორ ქვეყნებზე გადავალ, მინდა შევეხო ექსპორტის ზოგად გეოგრაფიულ სტრუქტურას კონტინენტების მიხედვით. თუ დავაკვირდებით გრაფიკს N8-ს, შევამჩნევთ, რომ საქართველოს ექსპორტი ძირითადად მიმართულია აზიის ბაზარზე, მას მოსდევს ევროპული ბაზარი, შემდგომ კი ჩრდილოეთი და სამხრეთ ამერიკა. რაც შეეხება აფრიკის კონტინეტსა და ავსტრალია-ოკეანეთს, მათი წილი ჩვენი ქვეყნის ექსპორტში ძალიან

მცირეა. ძირითადი მეტოქე ბაზრები ქართული პროდუქციისთვის არის ევროპა და აზია, რომელთა შორის განსხვავება თვალში საცემი არის 2010 წლის შემდეგ. ეს განსხვავება იზრდებოდა 2012-2013 წლებში, როცა აზიის ექსპორტი თითქმის ორჯერ აღემატებოდა ევროპისას. 2015 წლიდან მოყოლებული კი თითქმის თანაბარია.

საქართველოს ექსპორტი (მლნ. აშშ დოლარი) დიაგრამა N8



* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი

სასაქონლო პოზიციების მსგავსად, 2000-2004 წლებში, ყველა ძირითად საექსპორტო ქვეყნებში ზრდადი ტენდენცია ფიქსირდება. ქვემოთ მოცემული ცხრილი N10 გვიჩვენებს ხუთ ძირითად საექსპორტო ქვეყანას, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ პერიოდებში საქართველოს არ ჰქონდა აქტიური ვაჭრობა და საერთაშორისო ასპარეზზე იგი ასე ვთქვათ ახალი ქვეყანა იყო. მოცემულ სიას თურქეთი ერთმნიშვნელოვნად ლიდერობს.

ცხრილი N10

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები 2000-2004 წლებში

მლნ. აშშ დოლარი

	2000	2001	2002	2003	2004
ექსპორტი - სულ	**323.9**	**317.2**	**345.7**	**461.3**	**646.9**
მათ შორის:					
თურქეთი	74.4	69.8	53.7	82.5	118.6

რუსეთი	67.1	73.6	61.0	83.8	104.5
თურქმენეთი	10.6	28.9	36.7	54.9	113.4
სომხეთი	13.6	12.5	20.1	30.8	54.4
გაერთიანებული სამეფო	10.2	22.9	32.8	27.9	31.7
დანარჩენი ქვეყნები	148.0	109.5	141.3	181.3	224.2

ცხრილი N11

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები 2005-2009 წლებში

მლნ. აშშ დოლარი

	2005	2006	2007	2008	2009
ექსპორტი - სულ	**865.5**	**936.4**	**1,232.1**	**1,495.3**	**1,133.6**
მათ შორის:					
თურქეთი	121.9	123.3	171.8	262.9	225.8
აზერბაიჯანი	83.4	88.9	137.5	203.9	165.6
სომხეთი	39.7	73.6	110.8	123.4	88.9
უკრაინა	36.9	56.8	94.2	134.2	84.0
კანადა	35.6	48.9	70.6	131.8	117.2
დანარჩენი ქვეყნები	547.9	544.8	647.3	639.1	452.1

2005-2009 წლებში, რაიმე მნიშნელოვანი ცვლილება არ მომხდარა ქვეყნების სტრუქტურაში. თურქეთი ისევ ლიდერია, და სწორედ იგი წარმადგენს ქართული პროდუქციის ექსპორტის პირველ ბაზარს. ტოპ ხუთეულში, 2000-2004 წლებთან შედარებით კი, თურქმენეთი და გაერთიანებული სამეფო ჩაანაცვლა კანადამ და უკრაინამ (ცხრილი N11).

ცხრილი N12

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები 2010-2014 წლებში

მლნ. აშშ დოლარი

	2010	2011	2012	2013	2014
ექსპორტი - სულ	**1,677.3**	**2,186.4**	**2,376.6**	**2,910.3**	**2,861.0**
მათ შორის:					
აზერბაიჯანი	256.2	425.9	626.9	709.9	544.4
სომხეთი	166.8	222.8	258.4	315.5	288.1
თურქეთი	216.8	226.4	140.1	184.0	239.3
აშშ	187.2	143.5	226.2	137.6	207.4
უკრაინა	110.3	141.2	167.0	192.8	140.0
რუსეთი	34.7	36.6	46.8	190.7	274.8
ბულგარეთი	66.8	93.7	69.7	150.8	167.1
კანადა	118.7	114.8	108.2	81.4	48.8
ყაზახეთი	50.1	156.9	62.2	103.6	88.6
იტალია	26.0	75.6	53.3	81.1	86.1
დანარჩენი ქვეყნები	443.6	549.1	617.8	763.0	776.5

2010 წლიდან (ცხრილი N12) საქართველოს ექსპორტი უკვე 1,6 მლრდ. აშშ დოლარის ნიშნულს გაცდა, გააქტიურდა ვაჭრობა უამრავ ქვეყანასთან. იზრდება საექსპორტო ქვეყნების რიცხვი. მაშინ როცა საშუალოდ ყოველწლიურად საექსპორტო ქვეყნების რაოდენობა 90 იყო, 2010-2018 წლებში ეს მაჩვენებელი 115-მდეა მისული.

2010 წლიდან იზრდება ექსპორტი მნიშვნელოვნად აზერბაიჯანში, აშშ-ში და ბულგარეთში და ლიდერ პოზიციებს იკავებენ ტოპ ათეულში. ტოპ ათეულშია იტალიაც, სადაც ძირითადად ქართული თხილის ექსპორტი ხორციელდება და ბულგარეთი, სადაც გადის ძირითადად სპილენძის მადნები და კონცენტრატები.

ცხრილი N13

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები 2015-2018 წლებში

მლნ. აშშ დოლარი

	2015	2016	2017	2018*
ექსპორტი - სულ	**2,204.7**	**2,112.9**	**2,735.5**	**3,354.5**
მათ შორის:				
რუსეთი	162.9	206.0	396.7	437.3
აზერბაიჯანი	241.0	152.4	272.1	502.3
ბულგარეთი	214.2	160.8	186.9	258.9
სომხეთი	180.2	150.8	210.3	277.8
თურქეთი	186.8	173.4	216.7	232.7
ჩინეთი	125.8	174.3	201.7	198.0
აშშ	104.2	68.3	121.8	160.0
უკრაინა	59.9	73.3	124.5	175.0
უზბეკეთი	98.0	71.3	64.2	80.5
შვეიცარია	30.8	81.8	71.6	77.5
დანარჩენი ქვეყნები	801.0	800.5	869.1	954.5

2015-2018 წლებში, შედარებით მნიშნელოვანი ცვლილებებია ქვეყნების სტრუქტურაში. რუსეთში ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდებია 2016-2017 წლებში, და ლოგიკურიცაა, ამ წლებში იგი პირველ ადგილზეა საექსპორტო ქვეყნების ათეულში. 2017 წელს საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ხელი მოეწერა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას, რითაც საქართველოს ექსპორტს გზა გაუხსნა ჩინეთის ბაზარმა, შესაბამისად ჩინეთიც ტოპ ქვეყნების სიაში აღმოჩნდა.



დიაგრამა N9

* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი

საქართველოს აქტიური სავაჭრო პოლიტიკიდან გამომდინარე, დიაგრამა N9-იდან მარტივი შესამჩნევია ექსპორტის ზრდადი ტენდენცია, როგორც ევროკავშირის ქვეყნებში, ასევე დსთ-ისა და დანარჩენ ქვეყნებშიც. თუმცა დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტის მოცულობა წლების განმავლობაში საკმაოდ მერყევი იყო, იგი გარკვეულწილად კლების ტემპებითაც ხასიათდებოდა მაგ.: 2009, 2014-2016 წლებშიც, თუმცა ამ კლების მიუხედავად მაინც დსთ-ის ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში ევროკავშირთან და დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით მაღალია. 2010 წლამდე ევროკავშირის წილი მთლიან ექსპორტში იყო 22%, დსთ-ის ქვეყნების 41%, ხოლო დანარჩენი ქვეყნების 37%. 2010-2018 წლებში ეს სურათი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა ევროკავშირისთვის, ხოლო დსთ-ის წილი გაიზარდა დანარჩენი ქვეყნების ხარჯზე, გამომდინარე იქიდან, რომ აქტიურად დაიწყო ავტომობილების რეექსპორტი აღნიშნულ ქვეყნებში. თუ გავითვალისწინებთ 2014 წლის ჩვენთვის მნიშნელოვან მოვლენას - ასოცირების შეთანხმებას. თუ დავაკვირდებით ასოცირების შეთანხმებამდე პერიოდს (2010-2013 წლებში), როცა დსთ-ის ქვეყნების წილი 50% იყო, ხოლო ევროკავშირის 19%, DCFTA-ის შემდეგ ეს სტრუქტურა შეიცვალა. უდიდესი გავლენა რიგი ფაქტორების გამო მას არ მოუხდენია, თუმცა მაინც

მნიშნელოვანია აღინიშნოს, რომ 2015-2018 წლებში, როცა უკვე მოქმედებს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობა, ევროკავშირის ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში გაზრდილია და მთელი ექსპორტის 25%-ს შეადგენს, ხოლო დსთ-ის ქვეყნების წილი შემცირებულია და მისი წილი 43%-ის ტოლია. მართალია ასე ზუსტად ვერ ვიტყვით DCFTA-ს გავლენას ჩვენი ქვეყნის საექსპორტო პოტენციალზე, გამომდინარე იქიდან, რომ კვლევებმა აჩვენეს მისი ეკონომიკური სარგებელი უფრო გრძელვადიან პერიოდში მიიღწევა საქართველოსთვის. სტატისტიკური მონაცემები კი საკმაოდ პოზიტიურადაა განწყობილი ევროკავშირის მიმართ.

3.2. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის სტატისტიკური ანალიზი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დანარჩენ სამყაროსთან, მათ შორის ევროკავშირთან, მის სავაჭრო ურთიერთობებზე, რადგან სხვადასხვა განვითარებადი თუ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური დონეები მსოფლიო ბაზრების ლიბერალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესების ფონზე სულ უფრო მეტ გავლენას ახდენენ ერთმანეთზე და ამასთან უფრო შესაძლებლობები გააჩნიათ ქვეყნებს.

1999 წლის 27 იანვარს, ევროსაბჭოს გენერალური ასამბლეის სხდომაზე, საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ სიტყვით გამოსვლისას შემდეგი ფრაზა წარმოთქვა: "მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი!". ამ ცნობილი გამოსვლიდან 15 წლის შემდეგ - 2014 წლის 27 ივნისს, ქალაქ ბრიუსელში, ხელი მოეწერა ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებას. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია (IV კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები), რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

იმისათვის, რომ უკეთ გავაანალიზოთ ვაჭრობის ლიბერალიზაციის და ევროკავშირთან ეკონომიკური თანამშრომლობის სარგებელი, განვიხილოთ საქართველოს ექსპორტის ტენდენციები ევროკავშირის ქვეყნებში და გავაკეთოთ დასკვნები. სანამ უშუალოდ კონკრეტულ სტრუქტურულ დეტალებს განვიხილავდეთ (სასაქონლო პოზიციები, პარტნიორი ქვეყნები და ა.შ.), მიმოვიხილოთ ზოგადი დინამიკა და მისი მაჩვენებლები. გამომდინარე იქიდან, რომ 2014 წელს გაფორმდა ასოცირების შეთანხმება, უკეთესი იქნებოდა თუ დინამიკას შევისწავლიდი 2010-2018 წლებში. თუ 2014 წელს ავიღებთ ორიენტირად, მაშინ აღნიშნულ დინამიკას დავყოფთ 2 ოთხწლიან ნაწილად: „ასოცირებამდე“ - 2010-2013 წლები და „ასოცირების შემდგომ“ - 2015-2018 წლები. ეს ყველაფერი გაგვიმარტივებს აღნიშნული პერიოდების ერთმანეთთან შესადარისობას და DCFTA-ის მნიშვნელოვნებას საქართველოს ეკონომიკაზე. ამასთან, მონაცემთა შესადარისობისთვის სტატისტიკური მონაცემები აღწერს და გულისხმობს ევროკავშირის მონაცემები მოიცავს 28 ქვეყანის ჯამს, მიუხედავად იმისა, რომ მასში ქვეყნები ეტაპობრივად წევრიანდებოდნენ ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკიდან გამომდინარე.

ვაჭრობა ევროკავშირთან (მლნ. აშშ დოლარი) დიაგრამა N10



* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი

2010-2018 წლებში საქართველოს მთლიანმა ექსპორტმა ევროკავშირის ქვეყნებში შეადგინა 4.9 მლრდ. აშშ დოლარი, ხოლო მთლიანმა იმპორტმა - 19.6 მლრდ. აშშ დოლარი, შესაბამისად მთლიანი სავაჭრო ბრუნვა შეადგენდა 24.5 მლრდ. აშშ დოლარს, რომელიც საშუალოდ წლიურად 7.8%-ით იზრდებოდა. როგორც უკვე აღვნიშნე, სავაჭრო ბრუნვის ზრდა, ქვეყნისთვის უკეთესია თუ მისი საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდა გამოწვეულია ექსპორტის ზრდით. საქართველოსთვის ამ შემთხვევაში, ეს სწორედ ასეა, რადგან სავაჭრო ბრუნვის ზრდაზე უფრო მოქმედებს ექსპორტის მოცულობის ზრდა, რომელიც საშუალოდ წლიურად 11.3%-ით იზრდება, ხოლო იმპორტის მოცულობა საშუალო წლიური მატება 6.9%-ს შეადგენს. თუმცა არასახარბიელოა ის ფაქტი, რომ მკვეთრი ზრდა არ აღინიშნება არცერთ პერიოდში, მიუხედავად ზრდის ტემპებისა, მათი თანხობრივი მოცულობა არც თუ ისე დიდია.

2010-2013 წლებში ექსპორტის მოცულობა შეადგენდა 1.7 მლრდ. დოლარს, მაშინ როცა იგივე მაჩვენებელი 2015-2019 წლებში 2.6 მლრდ. დოლარამდე გაიზარდა. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ასოცირების ხელშეკრულების შემდეგ ექსპორტი 1.5-ჯერ გაიზარდა, რაც ერთგვარი პოზიტიური სურათია.

თუ შევხედავთ ევროკავშირში ექსპორტის ზრდის ტენდენციებს, მარტივად შევამჩნევთ, რომ ექსპორტის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება 2011 და 2013 წლებში. 2011 წელს ევროკავშირში ექსპორტი გაიზარდა 37.3%-ით, რაც ღირებულებით ზომებში 115.2 მლნ. აშშ დოლარს უდრის. ეს ზრდა გამოწვეული იყო თხილის ექსპორტის ბუმით, რომლის ზრდაც მთლიანი ზრდის 49.8%-ს შეადგენდა. ყველაზე მაღალი ზრდა კი 2013 წელს დაფიქსირდა, როცა ევროკავშირში ექსპორტი გაიზარდა 72.0%-ით, რაც 254.2 მლნ. აშშ დოლარის ტოლია. აღნიშნული კი დაკავშირებული იყო ევროკავშირში უმსხვილეს საექსპორტო სასაქონლო პოზიციის - სპილენძის მადნებისა და კონცენტრატებთან, რომლის ექსპორტი 2013 წელს 2012 წელთან შედარებით გასამმაგდა და 161.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

თუ ექსპორტის კლების ტენდენციასაც შევხედავთ, ამ მხრივაც ორი წელია აღსანიშნი, კერძოდ 2012 და 2016. 2012 წლის კლება გამოწვეული იყო თხილის ცუდი მოსავლით და

შესაბამისად მისი ექსპორტის შემცირდა და განახევრდა. თუ 2011 წელს მისი საშუალო ფასი 6.5 აშშ დოლარი იყო, 2012 წელს 5.8 აშშ დოლარი შეადგინა. გამომდინარე იქიდან, რომ 2015 წელს ბიტუმოვანი მინერალებისგან მიღებული ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტი ევროკავშირში იყო მაქსიმალური (77.9 მლნ. აშშ დოლარი), 2016 წელს მისი მესამედი გავიდა მხოლოდ ექსპორტზე. ამ წელს შემცირდა ასევე აზოტოვანი სასუქებისა და თხილის ექსპორტიც. ცალკეულ სასაქონლო პოზიციებს დეტალურად განვიხილავ მოგვიანებით.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გასაანალიზებლად და არსებული ტენდენციების შესაფასებლადაც გამოვიყენე ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაციის ხარისხის (ეკონომიკის გახსნილობის) რაოდენობრივი ინდიკატორები. თითოეულს განვიხილავ ცალ-ცალკე. პირველ ესეთ მაჩვენებლებს მიეკუთვნება ექსპორტის ქვოტა. ამ შემთხვევაში ვუწოდოთ ევროკავშირის ექსპორტის ქვოტა, რადგან მის წილს განვსაზღვრავთ მშპ-ში.

ევროკავშირში ექსპორტის ქვოტა (%)

დიაგრამა N11



* წინასწარი მონაცემები

ამ ინდექსის საშუალებით შეგვიძლია გავაანალიზოთ DCFTA-ს გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. 2014 წლამდე ევროკავშირში ექსპორტის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 3.76%-მდე იყო, მაშინ როცა ასოცირების შემდეგ ეს მაჩვენებელი 3.9%-ზე დაბლა არ

ჩამოსულა. მაქსიმალურ დონეს 2015 წელს მიაღწია, როცა 4.61% შეადგინა. ბოლო წლებშიც 4%-იან ნიშნულზე მაღლაა, და ზრდის ტენდენციას ინარჩუნებს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქართული პროდუქცია უფრო და უფრო კონკურენტუნარიანი ხდება.

მსგავსად შეგვიძლია გამოვთვალოთ ევროკავშირთან საგარეო ვაჭრობის ქვოტა, რომელიც გვიჩვენებს ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვის წილს მშპ-ში. ასოცირების შეთანხმებამდე, ზემოთხსენებული ქვოტა საშუალოდ 17.0% იყო, ხოლო ასოცირების შემდგომ პერიოდში საშუალოდ 19.4%-ს უდრის.

როგორც ზოგადად მთლიანად ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის შეფარდება ბრუნვასთან, მსგავსი სურათია ევროკავშირის შემთხვევაშიც. ექსპორტის წილი შედარებით მცირეა სავაჭრო ბრუნვაში. 2012 და 2016 წლებს თუ არ ჩავთვლით, ევროკავშირის ექსპორტის წილი ბრუნვაში იზრდება. 2014 წლამდე საშუალოდ 17.1% იყო, ხოლო 2014 წლის მერე 22.4%. რაც კიდევ ერთხელ უსმევს ხაზს, ექსპორტის ზრდის ტემპების გაუმჯობესებას იმპორტთან შედარებით, ასოცირების შეთანხმების შემდგომ. ყველაზე დიდი წილი 2015 წელს ეკავა, როდესაც ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვის 23.7% შეადგინა.

ევროკავშირის ექსპორტის წილი ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვაში დიაგრამა N12



* წინასწარი მონაცემები

ექსპორტის სტრუქტურის ანალიზისას, როგორც უკვე ვახსენე მნიშვნელოვანია იმის დადგენა თუ რა წილი უჭირავს მთლიან ექსპორტში რეექსპორტს, რადგან იგი არ მიეკუთვნება ქვეყნის ადგილობრივ წარმოებას და მნიშვნელოვანია როგორ იცვლება ადგილობრივი ექსპორტი.

ადგილობრივი ექსპორტი (Domestic Export) ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, რაც კარგის ნიშანია, რადგან ამით წინა მხარეს გამოდის ქვეყნის წარმოება და ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების კიდევ ერთი მაჩვენებელია. ადგილობრივი საექსპორტო სასაქონლო პოზიციებია: თხილი, აზოტოვანი სასუქები, სპილენძის მადნები და კონცენტრატები. ასოცირების შეთანხმების შემდეგ, რეექსპორტი ევროკავშირში საშუალოდ წლიურად 4.0%-ით იზრდება, ხოლო ადგილობრივი ექსპორტი 4.3%-ით.

დიაგრამა N13



* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი

ევროკავშირში რეექსპორტის ანალიზისას გასათვალისწინებელია 2012-2014 წლები, როდესაც ზოგადი ტენდენციიდან ამოვარდნილია რეექსპორტის მონაცემები. უფრო კონკრეტულად, რომ ვთქვათ 2012-2014 წლებში საშუალოდ მთელი ევროკავშირში

ექსპორტის 28.0% იყო რეექსპორტი, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი სხვა წლებში საშუალოდ 12.0%-ია. აღნიშნულ პერიოდში, მნიშვნელოვნად გაიზარდა რეექსპორტის მოცულობა რასაც გვიჩვენებს დიაგრამა N13. 2012 წელს რეექსპორტი გაზრდილი იყო ძირითადად მსუბუქი ავტომობილებისა და ხორბლის რეექსპორტის ხარჯზე, 2013 წელს - სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების და საბურავების რეექსპორტის ხარჯზე, 2014 წელს კი - სპირტიანი სასმელების გამო. 2012 წელს 2011 წელთან შედარებით გაიზარდა 2-ჯერ რეექსპორტის მოცულობა, ხოლო 2013 წელს ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გახუთმაგდა. 2015 წლიდან კი ეს ყველაფერი დასტაბილურდა.

საინტერესოა ასევე ევროკავშირის ექსპორტს თუ შევხედავთ ეროვნული ანგარიშების კუთხით. 2010-2018 წლებში, ქვეყნის მთლიანი ექსპორტში სამომხმარებლო და შუალედური ტიპის საქონლის წილი მერყეევია. ევროკავშირის ექსპორტში ეს სურათი კი განსხვავებულია.

ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა

დიაგრამა N14



* წინასწარი მონაცემები

დიაგრამა N14-ზე ჩანს, რომ ევროკავშირში 2010-2018 წლებში, ძირითადად შუალედური საქონელი გადის ექსპორტზე. 2012 წლამდე მისი წილი მცირდებოდა და მინიმალური სწორედ ამ წელს დაფიქსირდა - მთელი ექსპორტის 47.8%. 2012 წლის მერე კი

მისი წილი ისევ იზრდება და 2018 წელს უკვე მთელი ექსპორტის 68.3% შეადგინა, სამომხმარებლო საქონელმა 28.0% დაიკავა, კაპიტალურმა კი - 2.7%. ქვეყნის მთლიანი ექსპორტის მსგავსად, როგორც ჩანს, ევროკავშირის ექსპორტშიც კაპიტალური საქონლის წილი ძალიან მცირეა.

2010-2018 წლებში ევროკავშირის 28 ქვეყნიდან 25-ში რეგულარულად ყოველწლიურად ხორციელდებოდა ექსპორტი, ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ძირითად საექსპორტო ქვეყნებში ექსპორტს ზრდადი ტენდეცია აქვს. დიაგრამა გვიჩვენებს 2010-2014 წლებში უმსხვილეს საექსპორტო ქვეყნების ხუთეულს. მარტივი შესამჩნევია, რომ ლიდერ პოზიციას იკავებს ბულგარეთი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშნელოვანი სავაჭრო პარტნიორია საქართველოსთვის. ბულგარეთში ძირითადად გადის სპილენძის მადნები და კონცენტრატები, აზოტოვანი სასუქები და ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები.

ტოპ საექსპორტო ქვეყნები 2010-2014 წლებში დიაგრამა N15



* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი

თუ შევხედავთ 2015-2018 წლებს, მნიშვნელოვანი ცვლილება ქვეყნების სტრუქტურაში არ ყოფილა. ბულგარეთის წილი გაიზარდა ევროკავშირის მთლიან ექსპორტში და ახლა უკვე ევროკავშირის ექსპორტის 32% შეადგინა.

ტოპ საექსპორტო ქვეყნები 2015-2018 წლებში დიაგრამა N16



* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი

ამასთან 2015-2018 წლებში, 2010-2014 წლებთან შედარებით, ტოპ-5 საექსპორტო ქვეყნებში რუმინეთმა ჩაანაცვლა ბელგია. 2010-2013 წლებთან (ასოცირებამდე) შედარებით 2015-2018 წლებში (ასოცირების შემდეგ) ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება ბულგარეთში, რუმინეთსა და ნიდერლანდში. კლება კი ფიქსირდება ბელგიაში.

იტალიაში ძირითად საექსპორტო საქონელს წარმოადგენს თხილი, ნედლო ნავთობი და ტანსაცმელი და მისი საკუთნოები. გერმანიაშიც ძირითად საქონელს თხილი წარმოადგენს, ამასთან ერთად ნატურალური ხილისა და ბოსტნეულის წვენებიც. ესპანეთში და რუმინეთში, ბულგარეთის მსგავსად სპილენძის მადნები გაგვაქვს.

მაღალი საშუალო წლიური მატების ტემპები ფიქსირდება ხორვატიასა (48.9%) და მალტაში (136%). გამომდინარე იქიდან, რომ 2011 წლამდე მალტასთან არ გვქონდა აქტიური ვაჭრობა, ეს მაღალი მატების ტემპიც სწორედ აღნიშნულის გამოა. რაც შეეხება ხორვატიას, იგი 2013 წელს შეუერთდა ევროკავშირს, რის შემდგომაც საკმაოდ მაღალი ტემპებით იზრდება საქართველოს ექსპორტი აღნიშნულ ქვეყანაში.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ფონზე და საქართველოს მდებარეობიდან გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკის განვითარება პირდაპირ კავშირშია სატრანსპორტო სექტორების გამართულ და ეფექტიან მუშაობაზე. სწორედ ამიტომ, ასოცირების შეთანხმებაში, ვაჭრობასთან ერთად არის ტრანსპორტის თემაც, რომელიც რეგულირდება აღნიშნული შეთანხმებით. შესაბამისად აუცილებელია საგარეო ვაჭრობის ნაკადების, კერძოდ კი ექსპორტის სტატისტიკური ანალიზი გაკეთდეს ტრანსპორტირების სახეების მიხედვით.

ევროკავშირის ქვეყნებში ძირითადად ექსპორტი ხორციელდება საზღვაო ტიპის ტრანსპორტით. 2010-2018 წლებში, ევროკავშირის ექსპორტის 64.2% იყო საზღვაო ტრასპორტით ექსპორტირებული, ხოლო 29.9% - საავტომობილო ტრასპორტით. საქართველოს სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, საზღვაო ტრანსპორტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სავაჭრო ნაკადებში, რასაც გვიდასტურებს დიაგრამა N17.

ევროკავშირში ექსპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი) დიაგრამა N17



* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი

ანალიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, სანამ უშუალოდ სასაქონლო პოზიციებს განვიხილავდე, საინტერესოა თუ შევხედავთ ზოგადი კლასიფიკაციების მიხედვით ევროკავშირის ექსპორტის სტრუქტურას. საქონლის საერთაშორისო სტანდარტული სავაჭრო კლასიფიკაციის - სვსკ (SITC) მიხედვით სასაქონლო სტრუქტურა შემდეგია:

ცხრილი N14

მლნ. აშშ დოლარი

სექციის კოდი	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018*
სულ	**309.2**	**424.5**	**353.0**	**607.2**	**624.2**	**645.2**	**565.5**	**655.1**	**730.3**
მათ შორის									
2	93.1	111.5	78.8	187.1	200.1	168.7	178.7	270.9	345.0
0	53.7	112.2	68.1	127.7	161.1	167.5	166.0	76.9	60.5
5	45.7	78.3	51.2	68.7	49.0	78.1	35.0	58.6	63.9
1	22.1	26.1	35.8	50.9	51.6	38.1	50.6	59.2	80.6
6	22.9	16.9	9.2	41.0	45.3	44.1	54.8	62.2	79.1
3	30.1	36.6	27.9	41.1	34.4	79.2	30.7	61.9	32.9
7	26.4	29.4	66.5	66.2	49.2	36.7	15.9	31.2	33.4
8	11.4	10.2	11.7	20.0	26.2	26.6	26.8	26.6	26.5
9	3.8	3.2	3.6	4.0	6.6	5.4	5.4	6.5	7.3
4	0.0	0.0	0.1	0.6	0.6	0.8	1.7	1.1	1.1

* წინასწარი მონაცემები

2010-2018 წლებში ევროკავშირში ექსპორტის უდიდესი ნაწილი (33.2%) მოდის სვსკ-ის მეორე სექციაზე, რომელიც მოიცავს არასაკვებ ნედლ მასალებს, საწვავის გარდა. მას მოყვება საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები, რომლის წილი მთლიან ექსპორტში 20.2%-ია.

ექსპორტის სტრუქტურასთან ერთად, საგარეო ვაჭრობის ანალიზის დროს, აუცილებელია მასში მოქმედი სუბიექტების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და შესწავლა. ამის საშუალებას კი გვაძლევს ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის (NACE Rev.2)-ის ანალიზი საგარეო ვაჭრობის მონაცემებით. აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით საგარეო ვაჭრობის ანალიზი ხაზს უსმევს მოვაჭრე სუბიექტების, ამ შემთხვევაში

ექსპორტიორი კომპანიების (მათ შორის ინდ. მეწარმეების) საქმიანობების შესწავლად, და ამით იმის დადგენას, თუ რომელი ეკონომიკური სექტორის კომპანიები ლიდერობენ ვაჭრობაში.

დიაგრამა N18

ევროკავშირის ექსპორტის სტრუქტურა NACE Rev.2-ის მიხედვით 2010-2018 წლებში



* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქსტატი

თუ დავაკვირდებით დიაგრამას (N18), თვალში საცემია დამამუშავებელი მრეწველობის სექტორის კომპანიების აქტიურობა ევროკავშირის ქვეყნების ექსპორტში. აღნიშნულ სექტორს 2010-2018 წლებში 45.8% ეკავა მთიანი ევროკავშირის ექსპორტში, მას მოსდევს საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორი, რომლის წილი 17.8%-ია. ასოცირების შეთანხმების შემდეგ, აღსანიშნავია H სექციის - „ტრანსპორტი და დასაწყობება“ და ზემოთ აღნიშნული დამამუშავებელი მრეწველობის სექტორის (სექცია C) კომპანიების აქტიურობა. გამომდინარე იქიდან, რომ 2010-2013 წლებთან შედარებით, 2015-2018 წლებში, C სექციის ექსპორტი ევროკავშირში გახუთმაგდა, ხოლო H სექცია 53%-ით არის გაზრდილი.

თუ უფრო დავკონკრეტდებით ექსპორტიორების კუთხით ანალიზით, შეგვიძლია განვსაზღვროთ საწარმოთა ზომების მიხედვით ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი.

ევროკავშირში ექსპორტი საწარმოთა ზომების მიხედვით

ცხრილი N15

მლნ. აშშ დოლარი

საწარმოს ზომა	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018*
საშუალო	27.0	56.9	124.4	294.7	266.2	277.9	266.1	347.2	360.5
მსხვილი	137.6	151.0	112.8	145.2	156.1	138.4	130.3	199.6	273.9
მცირე	59.4	102.9	70.1	138.8	173.4	209.6	161.5	101.6	89.7

* წინასწარი მონაცემები

ცხრილიდან ჩანს, რომ ევროკავშირში ექსპორტიორი საწარმოები ძირითადად საშუალო ზომისაა. 2010-2018 წლებში, ევროკავშირში ექსპორტის 41.1% ექსპორტირებულ იქნა საშუალო ზომის საწარმოთა მიერ. საშუალო ზომის საწარმოების წილი იზრდება 2012 წლიდან, რადგან 2012 წლამდე უფრო დიდი წილი მსხვილ საწარმოებს ეკავათ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ DCFTA-ის შემდეგ ზრდის ტენდენციით ხასიათდება მცირე საწარმოთა აქტიურობა ევროკავშირის ექსპორტში, რაც ნიშანია იმის, რომ მცირე საწარმოებს მიეცათ ევროპულ ბაზარზე მათი პროდუქციის შეტანის შესაძლებლობა.

DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ ექსპორტის სტრუქტურაში სასაქონლო პოზიციების მიხედვით მნიშვნელოვან ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. ამასთან, ახალი პროდუქტების (გარდა კივისა) ევროკავშირში ექსპორტი არ განხორციელებულა, რაც ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ მოცემულ ეტაპზე ქართული პროდუქტები ვერ აკმაყოფილებს ევროკავშირის სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს. საქართველო დაინტერესებულია წარმატებით განახორციელოს ისეთი პროდუქციის ექსპორტი, რომელიც ჯერ არ შესულა ევროკავშირის ბაზარზე და ამიტომ აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან ისეთი საექსპორტო პროდუქციის აღიარებაზე, როგორიცაა თაფლი და თევზი. ამავდროულად, არსებობს საქართველოს ევროკავშირში ექსპორტის უფრო სწრაფი ზრდისა და დივერსიფიკაციის შესაძლებლობა.

ევროკავშირის ქვეყნებში ძირითად საექსპორტო საქონელს წარმოადგენს სპილენძის მადნებისა და კონცენტრატები, თხილი და კაკალი, აზოტოვანი სასუქები, ბიტუმოვანი ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები და ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები.

2010-2014 წლებში, უმსხვილეს სასაქონლო პოზიციების სტრუქტურას გვიჩვენებს ცხრილი N16. აღნიშნულ პერიოდში, ერთმნიშვნელოვნად უმსხვილესი სასაქონლო პოზიცია მერყეობდა და იცვლებოდა წლების მიხედვით. მაგალითად, თუ 2011 წელს თხილის ექსპორტი იყო ყველაზე მაღალი, 2012 წელს უკვე ავტომობილების ექსპორტმა ჩაანაცვლა იგი, ხოლო 2013 წლიდან მოყოლებული კი სპილენძის მადნები და კონცენტრატები არ თმობს პირველ ადგილს.

ცხრილი N16

ევროკავშირში უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციები

2010-2014 წლებში

მლნ. აშშ დოლარი

	2010	2011	2012	2013	2014
სულ	**309.2**	**424.5**	**353.0**	**607.2**	**624.2**
მათ შორის:					
2603 სპილენძის მადნები და კონცენტრატები	74.5	85.1	53.5	161.6	180.2
0802 თხილი და კაკალი	45.8	101.7	51.1	116.4	143.6
3102 აზოტოვანი სასუქები	37.7	69.5	40.8	51.7	32.3
8703 მსუბუქი ავტომობილები	20.5	16.3	57.2	51.6	32.6
2709 ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები	28.2	36.5	26.8	40.7	33.2

7202 ფეროშენადნობები	17.1	11.8	1.4	25.1	25.9
2208 სპირტიანი სასმელები	5.0	5.6	11.9	29.8	24.3
2204 ყურძნის ნატურალური ღვინოები	6.8	8.4	9.1	10.7	13.8
2201 მინერალური და მტკნარი წყლები	5.1	6.8	7.5	8.6	11.3
7404 სპილენძის ნარჩენები და ჯართი	4.9	7.5	11.1	4.5	2.2
დანარჩენი საქონელი	63.6	75.2	82.5	106.6	125.0

2015-2018 წლებში, სპილენძის მადნების მაღალმა ზრდის ტემპებმა განაპირობა მისი ნომერ პირველ საექსპორტო საქონლად ჩამოყალიბება. 2010-2014 წლებთან შედარებით, როგორც უკვე ვთქვი მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, თუ არ ჩავთლით, რომ უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებს გამოეთიშა მსუბუქი ავტომობილები, რადგან იგი ძირითადად დსთ-ს ბაზარზეა ორიენტირებული და აზერბაიჯანსა და სომხეთში გადის.

ნავთობისა და ნავთობპროდუქტების რეექსპორტის გააქტიურების ფონზე, ბოლო წლებში მისი ექსპორტის საკმაოდ მაღალი მოცულობა ფიქსირდება, რითაც იგი მოხვდა ტოპ ათეულში.

მსუბუქი ავტომობილები კი ჩაანაცვლა, ერთ-ერთმა ყველაზე მზარდმა საბურავების ექსპორტმა, რომლის ზრდა ძირითადად რეექსპორტის ხარჯზე მოდის.

ცხრილი N17

ევროკავშირში უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციები

2015-2018 წლებში

მლნ. აშშ დოლარი

	2015	2016	2017	2018*
სულ	**645.2**	**565.5**	**655.1**	**730.3**
მათ შორის:				
2603 სპილენძის მადნები და კონცენტრატები	153.1	166.9	253.5	325.0
0802 თხილი და კაკალი	149.2	146.1	54.2	36.5
3102 აზოტოვანი სასუქები	65.9	24.1	43.7	45.6
2709 ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები	77.9	26.8	32.2	3.4
2208 სპირტიანი სასმელები	13.7	21.8	28.5	42.3

4011 ახალი საბურავები	10.4	15.2	22.6	30.8
7202 ფეროშენადნობები	21.0	17.9	17.4	14.6
2710 ნავთობი და ნავთობპროდუქტები	1.4	3.9	29.7	29.5
2204 ყურძნის ნატურალური ღვინოები	12.5	14.2	14.9	18.6
2201 მინერალური და მტკნარი წყლები	10.7	12.2	13.2	16.2
დანარჩენი საქონელი	129.5	116.2	145.3	167.8

* წინასწარი მონაცემები

გამომდინარე იქიდან, რომ ექსპორტი არ ნიშნავს, მხოლოდ ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის გატანას საერთაშორისო ბაზარზე, იგი მოიცავს რეექსპორტსაც, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიე რეექსპორტის ფაქტორის გამორიცხვა საქართველოდან ექსპორტირებული უმსხვილესი პროდუქციების ანალიზისას. შედეგად მივიღე, რომ 2010-2018 წლებში მთლიან ექსპორტში უმსხვილეს ტოპ ხუთ საქონელს წარმოადგენდა: ფეროშენადნობები, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, თხილი და კაკალი, ყურძნის ნატურალური ღვინო და აზოტოვანი სასუქები. ზემოხსენებულთაგან სამისთვის უკანასკნელ პერიოდებში სწორედ ევროპული ბაზარია მნიშვნელოვანი, რადგან სწორედ ევროკავშირის ქვეყნების ექსპორტს უკავია დიდი წილი მათ ექსპორტში. ესენია სპილენძის მადნები და კონცენტრატები, თხილი და აზოტოვანი სასუქები. ფეროშენადნობები ძირითადად გადის აშშ-ში, რუსეთსა და თურქეთში, ხოლო ქართული ღვინისთვის ძირითადი ბაზარი მაინც დსთ-ის ქვეყნებია. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ღვინის ექსპორტის მოცულობა ზრდადი ტენდენციით ხასიათდება ევროკავშირის ქვეყნებშიც და წლიდან წლამდე იზრდება. განვიხილოთ სპილენძის მადნებისა და თხილის ექსპორტი, ასევე ნაწილობრივ შევეხები აზოტოვან სასუქებსაც.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს 2013-2014 წლებში ექსპორტის ზრდა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი არის სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების რეექსპორტის ზრდა. შესაბამისად, სასაქონლო ჯგუფებს შორის სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტი პირველ ადგილზეა როგორც ქვეყნის მთლიან ექსპორტში, ასევე ევროკავშირის ქვეყნების ექსპორტში. მსგავსი ტენდენცია ჯერ კიდევ 2004 წლიდან შეინიშნება. 2010-2018 ევროკავშირში მისმა ექსპორტის მოცულობამ შეადგინა 1.5 მლრდ. აშშ დოლარი, რაც

სპილენძის მთლიანი ექსპორტის 68.2%-ია, ხოლო საქართველოს მთლიანი ექსპორტის 29.6%. მოცემული საქონლის ექსპორტის ზრდადი ტენდენციაა როგორც ევროკავშირის ქვეყნებში, ასევე დანარჩენ ქვეყნებში, თუმცა ევროპული ბაზარი როგორც ჩანს ამ საქონლისთვის პრიორიტეტულია.

სპილენძის მადნებისა და კონცენტრატებისთვის ძირითადი საექსპორტო ქვეყნებია ბულგარეთი (77.0%), ესპანეთი (14.9%) და 2016 წლიდან მათ დაემატა რუმინეთი (8.2%), რამაც როგორც უკვე აღვნიშნე გამოიწვია რუმინეთის ექსპორტის ბოლო პერიოდში მატება და ძირითად პარტნიორ ქვეყნებში მოხვედრა.

ევროპის ბაზარზე ადგილობრივ წარმოებასთან ერთად ექსპორტზე გადის სომხეთიდან, ბრაზილიიდან და ჩილედან შემოტანილი სპილენძის გადამუშავებით მიღებული სპილენძის მადნები. 2010 წლიდან მოყოლებული, მისი ექსპორტი საშუალოდ ყოველწლიურად 20%-ით იზრდება, DCFTA-ის ამოქმედების შემდეგ კი მისი ექსპორტის მოცულობა 2.4-ჯერ გაიზარდა.

ევროკავშირის ქვეყნებში უმსხვილეს საექსპორტო სასაქონლო ჯგუფებში შედის ასევე თხილი და კაკალი, რომლის ექსპორტმაც 2011 წელს სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს გადაასწრო. 2010-2018 წლებში თხილის ექსპორტმა შეადგინა 844.6 მლნ. აშშ დოლარი, რაც ჯამში 121.9 ტონას უდრის.

მოცემული საქონლის ძირითად საექსპორტო ქვეყნებს წარმოადგენენ: გერმანია (30.1%), იტალია (26.9%), ჩეხეთი (7.7%), ესპანეთი (6.7%), სლოვაკეთი (4.8%) და საფრანგეთი (4.4%). 2016 წლამდე გერმანია ლიდერობდა აღნიშნულ სიას და პირველ ადგილს იკავებდა თხილის ექსპორტიორ ქვეყნებში, როგორც ევროკავშირში ასევე მთლიან ექსპორტში. 2016 ცუდი მოსავლის გამო, გერმანიაში იკლო თხილის ექსპორტმა და პირველ ადგილზე უკვე იტალიაა ბოლო ორი წელია. 2010-2018 წლებში, იტალიასა და გერმანიაში ექსპორტირებულია 67.8 ათასი ტონა თხილი, რომლის ჯამური ღირებულებაც 475.7 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.

როგორც უკვე აღვნიშნე, სპილენძის მადნების მსგავსად, თხილის საექსპორტო ბაზარს ძირითადად ევროკავშირი წარმოადგენს, გამომდინარე იქიდან, რომ 2010-2018 წლებში

თხილის მთლიანი ექსპორტის 73.6% სწორედ ევროკავშირზე მოდის, ხოლო დსთ-ის ქვეყნებში 16.7% და დანარჩენ ქვეყნებში 9.7%.

თხილის მსოფლიო წარმოება დიაგრამა N19



წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია. ათასი ტონა

თუ გადავხედავთ თხილის მსოფლიო ბაზარს, დავინახავთ რომ საქართველო თხილის უმსხვილეს მწარმოებელ ქვეყანათა ხუთეულში იყო 2017 წლამდე[9]. 2014-2015 წლებში მესამე ადგილზეც კი იმყოფებოდა თურქეთისა და იტალიის შემდეგ. მან გადაასწრო აშშ-სა და აზერბაიჯანის მიერ წარმოებულ თხილის მოცულობას. 2017 წელს კი მოსავლის გაუარესების გამო მე-6 პოზიციაზე გადაინაცვლა.

2015-2016 წლამდე შენარჩუნებული იყო თხილისა და კაკლის ექსპორტის ზრდის ტენდენცია. 2016 წელს 2015 წელთან შედარებით ექსპორტის საერთო ღირებულება შემცირდა 2.1%-ით, თუმცა ეს შემცირება გამოწვეული იყო ამავე წელს დაწყებული ფასის კლებადი ტენდენციით, რადგან თუ დავაკვირდებით მისი ექსპორტის მოცულობას ტონებში, იგი ანალოგიურ პერიოდში 35.4%-ითაა გაზრდილი.

თხილსა და კაკალს ჩვენი ქვეყნის საექსპორტო ათეულში ბოლო წლებში წამყვანი ადგილი ეკავა, თუმცა 2017 წლიდან მოყოლებული საქართველოდან თხილისა და კაკლის

[9] "Hazelnuts (with shell); Crops by Region, World List, Production Quantity, 2017". UN Food and Agriculture Organization, Statistics Division (FAOSTAT). 2019

ექსპორტი საგრძნობლად შემცირდა, რადგან თხილის მოსავალი სოკოვანმა დაავადებამ და საშიშმა მავნებელმა - აზიურმა ფაროსანამ გაანადგურა. გამომდინარე იქიდან, რომ ევროკავშირთან ვაჭრობა გათავისუფლდა გადასახადებისგან, არსებობს კიდევ სხვა ბარიერები, რომელიც ძირითადად ხარისხის კონტროლს ეხება. ქართულმა თხილმა ვერ გადალახა ის ხარისხობრივი ბარიერები, რომლებიც არსებობს ევროპის ბაზარზე პროდუქციის მოსახვედრად. შესაბამისად, 2016 წლის დეკემბრიდან გაიზარდა თხილის რეიმპორტი (უკან დაბრუნებული საქონელი). მარტო აღნიშნულ თვეში მოხდა 189.7 ტონა თხილის უკან დაბრუნება, ხოლო 2017-2018 წლებში უკან დაბრუნებულ იქნა სულ 704.9 ტონა თხილი, რომლის საერთო ღირებულებამ 3.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. უკან დაბრუნებული თხილის 57.8% იყო გერმანიიდან და იტალიიდან.

თხილის რეიმპორტი ევროკავშირიდან დიაგრამა N20



წყარო: საქსტატი.

თუ შევხედავთ მოცემული სასაქონლო ჯგუფის სტრუქტურას უფრო დეტალურად, ვნახავთ, რომ 99.7% გაგვაქვს თხილი, ხოლო დანარჩენი 0.3% მოდის სხვა პროდუქტებზე, როგორიცაა ფისტა, კაკალი და ნუში. 2016 წელს სწორედ თხილის ფასის შემცირების გამო მოხდა ექსპორტის შემცირება. კერძოდ, თუ 2015 წელს თხილის საშუალო საექსპორტო ფასი იყო 9.3 აშშ დოლარი, 2016 წელს იგივე მაჩვენებელი 6.7 აშშ დოლარამდე შემცირდა, ხოლო 2017-2018 წლებში თითქმის განახევრდა და 5.4-5.8 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობდა.

ფასის შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო ნაჭუჭგაცლილ თხილზე ფასის შემცირებით.

ექსპორტიორების რაოდენობა მნიშვნელოვნად არ იცვლება აღნიშნულ პერიოდში. 2010-2018 წლებში თხილის და კაკლის სულ 202 ექსპორტიორი კომპანია ფიქსირდება. ევროკავშირის ქვეყნებში თხილის ძირითად ექსპორტიორებს წარმოადგენენ: შპს „დიოსკურია XXI“, შპს „ნათს.ელი“, შპს „S.R.T“, შპს „გლობალ ექსპორტი“ და შპს „ვესტნათი“.

დასკვნა

ამგვარად, საქართველო-ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ურთიერთობები ღრმავდება. 2010-2018 მთლიანი ექსპორტი ევროკავშირში საშუალოდ ყოველ წლიურად 11.3%-ით იზრდება, რაც ძირითადად გამოწვეულია რეექსპორტის ზრდით, რომელიც საშუალოდ წლიურად 17.7%-ით, ხოლო ადგილობრივი ექსპორტი 10.5%-ით იზრდება. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის უფრო მნიშვნელოვანია ადგილობრივი ექსპორტის ზრდა, ამიტომ მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივ ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარებას. დღესდღეობით საქართველოში არსებული ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქართული საგარეო სავაჭრო სისტემის განვითარებას. თუმცა ევროკავშირის მომხმარებლებს ჯერ კიდევ არა აქვთ სრული ინფორმაცია ქართულ პროდუქციაზე. საჭიროა უფრო მეტი ინტენსივობით აქტიური ვაჭრობა, უფრო ხარისხიანი პროდუქციის შექმნა და მისი გატანა ევროპის ბაზარზე, რადგან ევროკავშირში სწორედ საქონლის ხარისხის კონტროლს ექცევა უმნიშვნელოვანესი ყურადღება. ამ მხრივ წინსვლას გვიდასტურებს სტატისტიკური მონაცემები, რომელთა გაანალიზება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბოლო წლებში საქართველოში საგარეო ვაჭრობა ვითარდება, იზრდება პარტნიორ ქვეყანათა რიცხვი და საქონლის ასორტიმენტი.

DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ ექსპორტის სტრუქტურაში სასაქონლო პოზიციების მიხედვით მნიშვნელოვან ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. ამასთან, ახალი პროდუქტების (გარდა კივისა) ევროკავშირში ექსპორტი არ განხორციელებულა, რაც ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ მოცემულ ეტაპზე ქართული პროდუქტები ვერ აკმაყოფილებს ევროკავშირის სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს. საქართველომ უნდა უზრუნველყოს მისი კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკავშირის სანიტარული და ფიტოსანიტარული (SPS) კანონმდებლობის მოთხოვნებთან, რათა ქართული პროდუქცია ევროკავშირის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ იქნას აღიარებული. რაც შეეხება DCFTA მოსალოდნელ შედეგებს, ამასთან დაკავშირებით რამდენიმე მოდელირებაზე

დაფუძნებული კვლევა ჩატარდა. ამ კვლევის მიხედვით, რომელიც ევროპის რესურს ცენტრებმა „ეკორისმა“ და „კეისმა“ ჩაატარეს[10], მოკლევადიან პერსპექტივაში DCFTA-ის შედეგად საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში 9.0%-ით უნდა გაზრდილიყო. მაგრამ შეთანხმების პირობითად ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში ვითარება განსხვავებული აღმოჩნდა. 2015 წელს საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში გაიზარდა, მაგრამ მხოლოდ 3.0%-ით. მიუხედავად ამისა, ეს მონაცემი შედარებით პოზიტიურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მთლიანი ექსპორტი 11.0%-ით შემცირდა. ასეთი მკვეთრი შემცირების ერთ-ერთი მიზეზია დსთ-ს რეგიონში, განსაკუთრებით რუსეთსა და უკრაინაში, არსებული ეკონომიკური კრიზისი. გარდა ამისა, ქართული ლარის მნიშვნელოვანი გაუფასურება, რაც DCFTA-ს პირობითად ძალაში შესვლას დაემთხვა, ართულებს შეთანხმების საქართველოს ვაჭრობაზე რეალური ზეგავლენის შეფასებას.

ამასთან მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ქართული თხილის საკითხი, რომელსაც ძირითადი წვლილი ჰქონდა საექსპორტო პროდუქციაში. 2010-2016 წლებში თხილის ექსპორტი ევროკავშირში საშუალოდ წლიურად 21.3%-ით იზრდებოდა, მაშინ როცა აზიური ფაროსანას გამოჩენის შემდეგ, 2017 წლიდან მისი ექსპორტი საშუალოდ წლიურად 50.0%-ით მცირდება. თუმცა, ამ მხრივ აღსანიშნავია მთავრობის აქტიური პოლიტიკა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით. სწორედ ამ მიზნით, 2018 წელს მოსავლის გადასარჩენად სახელმწიფომ 50 მილიონი ლარი გამოყო. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მავნებლის საწინააღმდეგო კომპლექსური ღონისძიებების გატარებას, რომლის ძირითადი მიზანია ფაროსანას და სხვადასხვა მავნებლების რიცხოვნობის შემცირება და კონტროლი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანება და ეკონომიკური ზარალი, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროდუქტის - თხილის ექსპორტს. ექსპორტის ზრდა წარმოადგენს სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანას საქართველოს მდგრადი განვითარებისათვის.

[10] „Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova", Rotterdam, 27 October 2012

გამოყენებული ლიტერატურა

1. მარშავა ქ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სტატისტიკა (ლექციების კურსი), თსუ;

2. მენქიუ გრეგორი, ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2008 წ.;

3. ხმალაძე მ., სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011 წ.;

4. ძებისაური ლ., საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა, სადოქტორო დისერტაცია, თსუ, თბილისი, 2012 წ.;

5. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.2&d=HASH611428d35ab6e96ac30284.7.6&gt=1

6. საქართველოს საბაჟო კოდექსი კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 25/07/2006;

7. Balance of Payments and International Investments Position Manual” (BPM6) (International Monetary Fund, Washington D.C., USA, 2008., Sixth Edition), 2009;

8. Classification by Broad Economic Categories Revision 4, 2003;

9. International Merchandise Trade Statistics (IMTS), (Concepts and Definitions, United Nations, New York, USA 2011);

10. "International Merchandise Trade Statistics: Compilers Manual, Revision 1" (IMTS 2010-CM)), (United Nations, New York, USA 2013);

11. NACE Rev. 2 Statistical classification of economic activities in the European Community, 2016;

12. Standard International Trade Classification Revision 4, 2006;

13. https://matsne.gov.ge/ - სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“

14. https://www.rs.ge – სსიპ „შემოსავლების სამსახური“

15. https://www.geostat.ge/ka - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური / საგარეო ვაჭრობა

16. http://www.dcfta.gov.ge/ - ვებ-პორტალი DCFTA

17. http://www.fao.org/faostat/en/#data/QC - გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია

18. http://forbes.ge/

19. https://comtrade.un.org/

20. https://www.bpn.ge/article/33706-bolo-tveebshi-kartuli-txilis-eksporti-shemcirda/

21. http://www.parliament.ge/uploads/other/22/22585.pdf